

დღისუბანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

29 ოქტომბერი 2021წ. №27 (4026) გამომცემის 90-ე წელი ფასი 1 ლარი



ეროვნული დრამატურგიის VI საერთაშორისო ფესტივალი დაბრუნდა გუბაზ მებრლიძე

ფესტივალი ორი კვირის მანძილზე დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობდნენ – საქართველოს 10 და ქ. კაპულის (მოლდოვა), ქ. ხერსონის (უკრაინა) თეატრები. რუსთავისა (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“) და კინომსახიობთა (ნ. სადღობელაშვილის „მწვანე ბარათი“) კოლექტივებმა პანდემიის გამო თავიანთი

დადგმები ვერ წარმოადგინეს. სასიხარულოა, რომ მთლიან რეპერტუარში 7 თანამედროვე ქართველ დრამატურგთა (თავისუფალი თეატრი: ა. ვარსიმაშვილის „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“, ქუთაისის თეატრი: მ. კუკულავას „გადაუღებლად წვიმს 13/06“, ზუგდიდის თეატრი: თ. მელაშვილის „შაში შაში მაყვალი“, თელავის თეატრი: ნ. რამიშვილის, გ. ჩაკვეტაძის „გაჭედვები“, თბილისის მოზარდ მსახიობთა თეატრი: დ. ხეთიაშვილის, ა. მირიანაშვილის „სარა ბარა ბზია ბზობიტ ანუ მე შენ მიყვარხარ“, გორის თეატრი: ლ. იმედაშვილის „იესოს საქმე“, ქ. ხერსონის მუსიკალურ-დრამატული თეატრი: ნ. მირზიაშვილის „მაცეკვე ტანგო“) და 2 კლასიკური (თბილისის სომხური თეატრი: ავქ. ცაგარლის, ქ. ბახუტაშვილის „ძველი ქართული ვოდვილები“, მესხეთის თეატრი: ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“) პიესა ვიხილეთ, ხოლო ნოდარ დუმბაძის ინსცენირებები ფოთისა („საბრალდებო დასკვნა“) და თბილისის ახმეტელის („HELLADOS“) თეატრებმა წარმოადგინეს. მნიშვნელოვანია, რომ რეჟისორებს გაუჩნდათ სურვილი, მათთვის საინტერესო თე-

▶▶ დასასრული მე-2 გვ.


თაღო ბაქიშვილი – 80 გულის შუკით განათიებული

თაღო ბაქიშვილის პირველი პოეტური კრებული 1971 წელს გამოვიდა. „მთაო, გადმიშვი“ – ასე ერქვა „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ ამ წიგნს, მხატვარ გურამ ლლონტის მიერ გაფორმებულს. მრავალმხრივ სიმბოლური იყო სათაური და მრავალნაირად მაცდური იყო პოეტისთვის გზის დასაწყისი, – შეეძლო ვერლიბრის მეამბოხური ფორმა აერჩია, მაგრამ ამ დროს კონვენციური ლექსიც მოუხმობდა საყვედურით, არც ხალხური ხმები ეთმობოდა ალბათ, უთუოდ რაღაც ახალსაც ეძებდა ახალგაზრდული ჟინით... და, კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი დარჩა მის შემოქმედებაში, მის პოეტურ არსენალში.

ხასიათი ჩანდა მის სიტყვაში – პლასტიკა, ხედვა, ფორმა, ტონი; ხასიათი ეტყობოდა გარეგნობაში, რომელშიც ფიზიოგნომისტი ბორის პასტერნაკის შტრიხებს დაინახავდა; ხასიათს ავლენდა ადამიანებთან ურთიერთობებში, რომელშიც ნდობა და სიყვარული ჰქონდა მთავარ მოტივად. ეს ყოველივე იქიდან მოსდგამდა, მშობლიური არაგვის ხეობიდან, სადაც სინოფელე და უშუალობა, პლასტიკა და ტონი გამჭვირვალე ფერებსა და სიმალეებშია გამოხატული. შეიძლება ითქვას, მთის ნოსტალგიამ შექმნა მისი პოეზია. ნოსტალგია – ეს არის ერთი მთლიანი, გიგანტური მეტაფორა, რომელიც ერთ ლექსში ასე გადმოიცემა:

*ნისლო, მთით გადმომაველო,
რა ამბავ მოგაქვ, ნეტაი?
რასა იქმს ჩემი დაღლილი,
ჩემი მწუხარე დედაი?*

*ხომ არ ჩაკეტა ნამქერმა
გზა-ვინროები სავალი?
კვამლი თუ ადის ერდოზე,
ისევ თუ ყვივის მამალი?*



*ნისლო, მთით გადმომაველო,
რა ამბავ მეტყვი, ნეტაი?
რასა იქმს ჩემი მწუხარე,
ჩემი ბეჩავი დედაი?*

სევდის მოტივი მისი ლექსის ეგზისტენციური საყრდენია. „ნუხს ჩემი ფიქრი გარდასული დღეების გამო“, – წერს ლექსში „ორი მდინარე“. ზუსტი შტრიხებით ახასიათებდა მურმან ლებანიძე თედოს შემოქმედებას: „ფიქრი უმთავრესად ორ დროზე – წარსულსა და მომავალზე; საფიქრალი – უპირატესად სამშობლო ქვეყანა და მშობელი ხალხი; პატრიოტიზმი, მაგრამ – არა ურაპატრიოტიზმი; პუმიანიზმი – ხშირად განზოგადებული – ზოგადად ადამიანის უპრეტენზიო, უხმაურო გულმემატკივრობა; პოეტური ქვეყანა – მოფენილი ქართული სინამდვილით; სახვის საშუალება – არა ჭრელი და ფერადოვანი, არამედ თავდაჭერილი და ზომიერი – გულის შუკით განათებული; ტექნიკური შეიარაღება – კლასიკურ რითმიან ლექსთან ერთად ლექსის თანამედროვე სახეობებიც; ხმა – წყნარი, ინტონაცია – გულითადი, რომელიც გამოირიცხავს ზერულ რიტორულობასა და უპატიოსნო პომპეზურობას...“

ხელოვნური ინტელექტი...	ანკატა	დილოგი	ორი დრო-სივრცის კვითაზა	ახალი სიცოცხლე
და აიკასო	ანა ნემსაკი	ხაჩატური – ჩარჩილი	მარიამ კვალიაშვილი	ზურაბ კაჭკა
83.2	83.3	83.6-7	83.9	83.11

პირველი გვირგვინი

მეხსა და პრობლემებზე, ქართველ დრამატურგებს პიესები შეუკვეთონ. სასურველია, რომ ფესტივალის რეპერტუარში დადგენილი სპექტაკლები არ შეიცვალოს და თეატრებმა (გორის თეატრმა ი. გოგებაშვილის „სიყვარული შობს სიყვარულს“ ნაცვლად ლ. იმედაშვილის „იესოს საქმე“, ბათუმის თეატრმა ავეკ. ცაგარლის „ხანუშას“ ნაცვლად მროვეჯის „სინდრომი, ანუ ვის უგალობ, ვისაო?“ უხერხული ვითარება არ შეუქმნან ფესტივალის მიმდინარეობას. სამწუხაროა, რომ ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფესტივალი მასშტაბით არ გააშუქა. სენსაციების მოყვარული კერძო ტელეკომპანიების არ გვიკვირს, მაგრამ საზოგადოებრივ არხს კი აუცილებლად უნდა დაეთმო სიუჟეტები ამ მნიშვნელოვანი თეატრალური ფორუმისთვის. ფესტივალს სიუჟეტები მხოლოდ აჭარის ტელევიზიამ და TV-9 მიუძღვნა. დახურვაზე სიტყვით გამოსულმა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ბესიკ ამირანაშვილმა ფესტივალის წარმატება და მისი მნიშვნელობა აღნიშნა, ხოლო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი თეა წულუკიანი მესხეთის თეატრს შენობის რეაბილიტაციას დაჰპირდა.

გეორგი მანდრუ – ქ. კაპულის (მოლდავეთი) მუსიკალურ-დრამატული თეატრის დირექტორი: ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ასეთი შორეული გასტროლი არ გვქონია. თეატრის მოწვევა ისეთი სიურპრიზი იყო, რომ უარი ვერ ვთქვით. საქართველოს შესახებ გადმოცემებითა და მასმედიის საშუალებებით ვიცოდით და ამამი თვალნათლივ დავერწმუნდით. ისეთი თბილი ადამიანები და გვებედნენ, რომ ძმებზე ვართ და ერთ თეატრალურ მერიდიანზე ვიმყოფებით. თანაც, ორივე ქვეყანას ვაზის კულტი გვაერთიანებს. მესხეთის თეატრთან დაახლოება გვიხარია და ვაფორმებთ შემორანდუმს ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ. ასეთ რთულ დროს საზღვარგარეთის თეატრების მოწვევა ძნელია, მაგრამ პატრიოტული თვალსაზრისით აუცილებელია. დიდი მადლობა სამხატვრო ხელმძღვანელ ქალბატონ ლია სულუაშვილსა და დირექტორ ბატონ ირაკლი ათუნაშვილს მოწვევისთვის. მომავალ წელს მათ ჩვენს ფესტივალზე „თეატრები საზღვრების გარეშე“ მივინვეთ. ფესტივალის იდეაც ეს გახლავთ, რომ თეატრის ენა უსაზღვროა. ასევე დიდი ინტერესით უყურებდა ჩვენს სპექტაკლს ქართველი მსაყურებელი. ეროვნული დრამატურგია ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან მის იდეურ დატვირთვაში ჩანს ერის სიდიდით, სამშობლოსადმი სიყვარული, სხვადასხვა ერების ურთიერთგაგება. ჩვენ პირველად ვართ საქართველოში და დიდი ემოცია განვიცადეთ. მადლობა მესხეთის თეატრს ასეთი გულთბილი მიღებისთვის. სიხარულით ველოდებით მოლოდინს, რაც ჩვენს ძმურ ურთიერთობებს გააძლიერებს.

ნევენა მიტევა – რეჟისორი (ბულგარეთი): მე 24 წელი ვიყავი გაბროვოს დრამატული თეატრის დირექტორი. ამავე დროს კომედიისა და მონოდრამის ფესტივალები დაეარსე. საქართველოსთან მეგობრობა ოზურგეთის თეატრიდან დაიწყო, სადაც კომედიის „კოცნა“ დადგინა. ვფიქრობ, ეს ფესტივალი ყველა ეროვნული თეატრისთვის მნიშვნელოვანია. ეს სტიმულს აძლევს დრამატურგებს ახალი პიესების დასაწერად. აგრეთვე, საშუალებას იძლევა ახლებურად გააზრებულ იქნას ეროვნული კლასიკური ნაწარმოებები. ჩემთვის საინტერესო იყო, დამენახა, თუ როგორი თანამედროვე დრამატურგია საქართველოში და როგორ ვითარდება ქართული თეატრი. ამიტომ ეს სერიოზული ფესტივალი გახლავთ.

ვასილ ჩიგოგოძე (ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გურია-სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების თავმჯდომარე): თავად უდიდესი მოვლენაა ქართული დრამატურგიის ფესტივალი და გულწრფელად მინდა მივულოცო მესხეთის თეატრს ამ შესანიშნავი ნამოყვების სიცოცხლისუნარიანობა და მიხარია მეექვსე ფესტივალის ასე წარმატებით დამთავრება. მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალმა საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. დარწმუნებული ვარ, ფესტივალის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზრდება. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ დრამატურგიას საფესტივალო განზომილებაში თავისი ნიშა აქვს. თავად იქედან გამომდინარე, რომ ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებელი გახლავართ, სადაც ქართული მწერლობის ნიმუშებიც წარმოგვიდგება, ამ ფესტივალმა დრამატურგიის ადგილიც შეავსო. ამდენად, ქართულ სცენაზე სრულფასოვნადაა წარმოდგენილი ქართული მწერლობაც და დრამატურგიაც. ვულოცავ ქალბატონ ლია სულუაშვილს, მესხეთის თეატრს, ამ რეგიონის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას ქართული დრამატურგიის ასეთ პატივისცემას. მადლობა მინდა გადაუხადო გოგი ყაჯროშვილსა და პირადად შენ, ჩემო გუბაზ, რომ ფესტივალს გვერდში ამოუდგე და მონაწილეობა მიიღო მის შეფასებაში, რაც თეატრის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია.



ანდრო ენუქიძე (ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი): თეატრი დრამატურგიით იწყება და ქართული თეატრი ქართული დრამატურგიის გარეშე ვერ იარსებებს. ჩვენი ვალია, ჩვენ, დრამატურგიის მივხედოთ. ცოტა უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიომ ქართული თეატრი გაიცნო მსოფლიო კლასიკის ბრწყინვალე გასცენიურებით. ასე ვეროპაში არ ხდება. შექსპირის, მოლიერის, ჩეხოვის მეპატრონე ქვეყნები გაცილებით მშვიდად არიან, რადგან მათი ეროვნული მემკვიდრეობა უძიროა. დღევანდელი ჩვენი თაობის მნიშვნელოვანი ამოცანაა ახალი ქართული დრამატურგიის შექმნა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება თანამედროვე მსოფლიო დრამატურგიასთან. რაოდენ პრეტენზიულიც არ უნდა იყოს, ამ დიდ გზაზე ეს ფესტივალი დიდი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

დათო ჩხარტიშვილი – გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: ფესტივალი მნიშვნელოვანია ახალციხისთვის, რადგან დიდი ქართული საქმე კეთდება. მეგონია მიზანი მიღწეულია. ადრე აქ მოსახლეობამ ქართული ენა ნაკლებად იცოდა, ახლა კი სხვა მდგომარეობაა და ამიტომ მეტი არეალი უნდა დაეთმოს ფესტივალის შინაარსს. კარგი იქნება, თუ თეატრები დრამატურგებს პიესებს შეუკვეთენ, რადგან დრამატურგებს სტიმული არა აქვთ და პიესებს ნაკლებადაც წერენ. ვაპირებ, ორ წელიწადში ერთხელ დრამატურგს დაუკვეთო პიესა, რაც სხვაგანაც სისტემატურად უნდა ხდებოდეს. ფესტივალს მეტი დაფინანსება სჭირდება, რაც უფრო გაამრავალფეროვნებს ამ ღონისძიებას. მის ორგანიზებაში მთელი ქალაქი უნდა იყოს ჩართული, რომ მასობრივი ხასიათი მიიღოს და საზეიმო განწყობა შეიქმნას. მესხეთის თეატრში სტუდენტობის პერიოდში დავდგი სპექტაკლი და აქაურობა ძალიან მიყვარს. კარგი იქნება, ქალბატონ ლია სულუაშვილის თავდადებად მოღვაწეობას ყურადღება და ხელშეწყობა არ მოაკლდეს.

მთავარია საზე სხობი

„ნნ“-ე – ასეა დასათურებული ბესიკ კეკელიძის ორტომეული, რომელიც სულ ახლახან, მწერლის მე-60 წლის იუბილესთან დაკავშირებით დასტამბა გამომცემლობა „მნიშვნობარმა“. ორტომეულის სახელწოდებას ბესიკ კეკელიძე ავტორისეულ წინასიტყვაობაში ასე განმარტავს:

„ნიგნის დასასათურებლად შექსპირის ნნ-ე სონეტი ავირჩიე, რადგან მთელ ჩემს პროზას ამ დიდი შემოქმედის ნნ-ე სონეტის დედააზრი ლიტმოტივად გასდევს“.

პირველი ტომი მინიატურებს, ნაფიქრალსა და მოთხრობებს აერთიანებს, მეორე ტომში კი პროზაიკოს ნოველები და ვრცელი რომანი „განუკითხავი“ შეუტანია. ნიგნები მდდარია სხვადასხვა მხატვრის ნამუშევართა ფერადი თუ შავ-თეთრი ილუსტრაციებით.

ბესიკ კეკელიძეს ქართველი მკითხველი, კარგა ხანია, იცნობს და, ალბათ, ისიც შემჩნეული აქვს: მწერლის პერსონაჟების უმეტესობას, ფულით თუ ნაცნობ-მეგობრობის წყალობით გაყოფილებულს, თავი ბედნიერების მწვერვალზე შგონია, სინამდვილეში



მნიშვნობარი
ნიგნები
66
სადასლა

კი ლამის ყელამდეა ქაობში ჩაფლული. სწორედ აქ დგას მწერალი დილემის წინაშე – გასწიროს თუ არა ესა თუ ის გმირი ამ ქაობში ჩარჩენისათვის და უმეტეს შემთხვევაში ახერხებს, ტკივილით, თანაგრძობით განაწყობს მკითხველს ნაწარმოების პერსონაჟისადმი, დაუტოვოს მას უკან სავალი გზა ან, იქნებ, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა – წინ, გამოსწორებისკენ, ადამიანური, ზნეობრივი ცხოვრებისაკენ სავალი გზა, შეუნარჩუნოს მონანიების უნარი და მიტევების იმედი.

ფა, ის სიმძიმელი, გაუსაძლის ტვირთად რომ დასწოლია ერს და ქვეყანას და მაინც: იმედი ბოლოს კვდება – გამოსავალი მუდმივ ბრძოლასა და ლეთისკენ სავალი გზის ძიებაშია. ორტომეულის პირველ ნიგნში შეტანილი ერთ-ერთი მინიატურას ეპიგრაფად უძღვის თამუნა კეკელიძის სიტყვები: „ჩვენი ცხოვრება არაფერია, მთავარია ცაზე ცხოვრება“. ეს სტრიქონი, ალბათ, ორივე ნიგნში შეტანილი ნაწარმოებების დედააზრს გამოხატავს – სწორედ ამას ესწრაფვის პროზაიკოსი ბესიკ კეკელიძე და აქეთ მიჰყავს თავისი მკითხველიც.


„დილა“ № 10

მზიარული, ხალისიანი, ჭკუისმარგებელი – ოქტომბრის ნომერი. ლექსები, მოთხრობები, გასართობები – შუაში წინო მზესელის გასაფერადებელი ნიგნით.

მაია დიაკონიძის, თამარ გაბროშვილის, თინა ლომთაძის, ანა ქართველისა და ანასტასია ქართველის პროზა; ნესტან კუპრავას, გივი ჩილენაძის, ცირა შალაშვილის, ია ჯავახიშვილის, ნუნუ ძამუკაშვილის, თამარ მამისიევილის, მაია კარსელის, სოფო გასიტაშვილის, ყარამან კიკვიძის, ლალი ლაჭავას ლექსები; ანა კანდელაკის, ზაურ დეისაძის, მალხაზ კუხაშვილის, იულია ნიკოგოსოვას, ვაჟა ქურხულის, ნატალია კუციას, მანანა მორჩილაძისა და გიორგი ჩაჩანიძის ნახატები – ყველაფერი ცალ-ცალკე და ყველაფერი ერთად მკითხველი ბავშვებისთვის და არა მარტო მათთვის...



პიკასოს ნაწილი სურთი ხელოვნური ინგელაჟის მეშვეობით აღაღინეს



ამ დღეებში ლონდონის Morf Gallery მომსვენლს ვერ აუდიოდა – ყველას ენადა, საკუთარი თვალთ ეხილა ხელოვნური ინტელექტის სასწაულებრივი შედეგი, რამაც „მკვდრეთით აღადგინა“ პიკასოს გაუჩინარებული ტილო.

118 წლის განმავლობაში საღებავის ქვეშ მოქცეულმა ნახატმა „ჩაცუცქული შიშველი ქალი“ ამიერიდან დამოუკიდებელი სიცოცხლე შეიძინა.

ლონდონის კოლიჯ უნივერსიტეტის მეცნიერებმა რენტგენის, ხელოვნური ინტელექტისა და 3D ბეჭდვის ტექნოლოგიის კომბინაციით ხელახლა შექმნეს მხატვრის ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოებული ფერწერული ტილო.

„ჩაცუცქული შიშველი ქალი“ 2010 წლამდე დაკარგულად მიაჩნდათ, სანამ ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში პიკასოს განთქმუ-

ლი სურათის „უსინათლო კაცის ტრაპეზის“ ქვეშ რენტგენის მეშვეობით არ აღმოაჩინეს. პიკასომ ორივე სურათი 1903 წელს შექმნა. იმხანად იმდენად ღარიბი იყო, რომ სამხატვრო მასალების შეძენა უჭირდა; ჩანს, სწორედ ხელმოკლეობის გამო გადადებდა მან „ჩაცუცქული ქალი“ და მასზე „უსინათლო კაცის ტრაპეზი“ შეასრულა.

ლონდონელმა მეცნიერებმა ანტონი ბაუჩმა და ჯორჯ კენმა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შეიმუშავეს ორიგინალური ალგორითმი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა პიკასოს ლურჯი პერიოდის (1901-1904 წლები) სხვა ნამუშევრების გულდასმით კვლევა. ფუნჯის მისეული მონასმების, ზედაპირის ტექსტურისა და ფაქტურის შესწავლით შესაძლებელი გახდა პიკასოს ხატვის მანერისა და სტილის ზედმიწევნით ათვისება, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ახლად შექმნილი სურათის ტექნიკური და მხატვრული სრულყოფილების ხარისხი.

პიკასოს უზღვევი შემოქმედებითი მემკვიდრეობა კიდევ ერთი ნამუშევრით შეივსო. გენიალური ესპანელი მხატვარი ხელოვნური ინტელექტის ამ მიღწევას უჭყველად გულწრფელი სიხარულით შეხედებოდა, რამდენადაც იგი თავადვე იყო დაუმცხრალი მამიებელი და ექსპერიმენტატორი...

გიორგი ლალიაშვილი
ლონდონიდან



თანამედროვე ქართული მოთხრობა: ბექა და სინაქსე

1. თქვენი აზრით, როგორ აისახა თანამედროვე ქართულ მოთხრობაში დღევანდელი მსოფლიო, პიროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემები?
2. რა თემათს უნდა მივამჩნიოთ ავტორებში ავტორებში?
3. როგორ წარმოვიდგინოთ ავტორის, როგორც პროზაიკოსის, ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი სახე: მასში ლიტერატურული უფრო მათია თუ ცხოვრებისეული?
4. თქვენი დაკვირვებით, რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოთხრობაში მხარის ავტორი?
5. როგორ იხატება თანამედროვე ქართული მოთხრობის სხვა, მსახერხებელი ტიპი?
6. ხელახლა თუ არა შენაგან კავშირს თანამედროვე ქართულ მოთხრობასა და ქართულ კლასიკურ (მე-19-მე-20 საუკუნეების) პროზას შორის?
7. რა განსხვავებაა მე-20 საუკუნის მიერ ნახევრის ქვეთარსებულ სტილსა და დღევანდელ თანამედროვე სტილს შორის?
8. როგორ ახსავთ თხრობის თანამედროვე მხარესა და სიუჟეტის განვითარების ტექნიკას?
9. გააკეთებთ თუ არა პროზის ენა, ანუ ქართული, როგორც ასეთი?
10. რამდენად მოქმედებს პროზაში მხარისა და ცხოვრებისეული გამოცდილების უკავშირე?
11. თქვენი მისაღება თუ არა მხარისა და ცხოვრებისეული გამოცდილების უკავშირე: „დაზოგადებული“, „ახალგაზრდა“, „გამოცდილი“, „ცოცხალი კლასიკოსები“ და ასე შემდეგ.
12. სად უფრო ხშირად კითხულობთ მოთხრობას – ბექაში ლიტერატურულ გამოცემებში, ინტერნეტში თუ ნიშნულში?
13. ბოლო დროს ვისი მოთხრობა მოგაწონათ?
14. დაასახელეთ თანამედროვე (მოქმედ) ქართული პროზაიკოსთა ხუთი.

აღსანიშნავი

1 თანამედროვე ქართული მოთხრობა მეტ-ნაკლებად ასახავს ამ პრობლემებს. ჩემი დაკვირვებით, საზოგადოებრივ უფრო ნაკლებად, ვიდრე პიროვნულს. როგორც ჩანს, საკუთარ განცდებზე წერა უფრო უადვილებს ბევრ ავტორს, ან შენაგან, რამე სხვა მიზეზიც გააჩნდეთ მათ ამისთვის. ზოგადი სურათი ასეთია, თუმცა კონკრეტულ მწერალს გააჩნია, ვიღაცისთვის პირადი ძირითადი თემა, ვიღაცისთვის – საზოგადოებრივი და ეროვნული სატიკა. რაც შეეხება ასახვის სიღრმეს, ეს სულ სხვა საუბრის თემა და სხვა ფორმატში სალაპარაკო.

2 არ მგონია, რომ სწორი იყოს ასეთი მითითების მიცემა, განსაკუთრებით ლიტერატურის კრიტიკოსის მხრიდან, შემოქმედს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს (ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს, ასეთი მითითებების დროც). დაე, მან თავად გადაწყვიტოს და წეროს იმაზე, რაც სტიკა და ანუხებს და წეროს ისე, როგორც თვითონ მიიჩნია, რომ უნდა წეროს. სხვა საკითხია, მე რას ვისურვებდი თანამედროვე ქართული მოთხრობის თემატიკაში. ცხადია, ვისურვებდი, რომ უფრო მეტად ვხვდებოდე ასახვას და შემდეგ ფიქრს, ანალიზს, რეფლექსიას, განსჯას იმ პრობლემებისას, რაც მართლაც ანუხებს თანამედროვე ადამიანს, ქვეყანას და საზოგადოებას; და არა წერას მხოლოდ იმაზე, რაც მოდურია, კარგად იყიდება და კარგად ჯილდოვდება სხვადასხვა ლიტერატურული პრემიის ორგანიზატორებისაგან. არ მომწონს, როდესაც რაღაც ტექსტის წაკითხვისას მიჩნდება შეგრძნება, თითქოს მწერალს წინ ერთგვარი გეგმა ედო, რომ რომელიმე მოდური თემა არ გამოჩნებოდა წერისას.

3 ცოტა რთული კითხვაა, თანაც ეს ინდივიდუალური საკითხი მგონია, გააჩნია ავტორს. თუკი პიროვნებაზე ვმსჯელობთ და მის ინტელექტუალურ და მოქალაქეობრივ სახეზე, აქ მთავარი მისი არჩევანია. არიან მწერლები, რომელნიც მთლიანად ლიტერატურით ცხოვრობენ და იშვიათად თუ ერევიან საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე საკითხებში, არ უყვართ მასმედია, არ იძლევიან ინტერვიუს, მათი მთავარი საქმე არის წერა, ეს კი ინდივიდუალური აქტია, მარტოობა სჭირდება (ბატონი გივი მარგველაშვილი მახსენდება, რომელიც ყოველთვის ამბობდა ლიტერატურაზე საუბრისას – როცა წერ, აუცილებლად მარტო უნდა იყო). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას არ აქვს პოზიცია ან არ გამოხატავს მას. საკუთარ პოზიციას იგი გამოხატავს სწორედ წერის აქტით, ანუ ნაწერით, იქნება ეს მხატვრული თუ ესეისტური. მაგრამ არიან მეორენი, აქტიურნი, ყველა მწვავე თუ არამწვავე პრობლემაზე საჯაროდ გამოთქვამენ აზრს, საზოგადოება მათ კარგად იცნობს და საკუთარ ტექსტებშიც სწორედ ამაზე წერენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ მათგანში ლიტერატურული მეტია, და ეს ლიტერატურული გამოხატავს სწორედ მის ცხოვრებასთან დამოკიდებულებას; მეორეში ცხოვრებისეულია ქარბად, რის ხარჯზეც, ვფიქრობ, ლიტერატურული იწარგება. ამიტომ, ჩემი აზრით, უკეთესია,

თუ მწერალში ლიტერატურული მეტია, რადგან ეს ამავდროულად მის ინტელექტუალურ და მოქალაქეობრივ სახესაც გვიჩვენებს. (მგონი, სწორად ჩავწვდი კითხვის არსს).

4 ჩემი აზრითა და დაკვირვებით, ავტობიოგრაფია მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერი მწერლის შემოქმედებაში ნებისმიერ დროში. ადამიანი საკუთარ სუბიექტურობას ბოლომდე ვერასდროს თრგუნავს, როგორც არ უნდა ეცადოს და თუნდაც ფანტაზიით შექმნილ ამბებშიც კი (რასაც ჩვენ დღეს ფიქშენს ვუწოდებთ) ყოველთვისაა გაბნეული მისი ცხოვრებისეული დეტალები (ცხადია, სხვადასხვა მწერალთან სხვადასხვა ხარისხით) ისე, რომ მკითხველი ამას საერთოდ ვერ გრძნობს. თომას მანი „ჯადოსნურ მთაზე“ საუბრისას ამბობს, მე ვერ შევძლებდი ოხუნჯობასა და თამაშს, რომანის პრობლემატიკა ასე ახლოვდება ვერ გახდებოდა ჩემთვის, თავად რომ არ გამომეარა იგი და შემდეგ არ ავმალავდი იყავი მასზე, როგორც თავისუფალი შემოქმედით. ასე რომ, ავტობიოგრაფია ყველა მწერლისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია; დანარჩენი უკვე მწერლის ნიჭიერებაზეა დამოკიდებული, რამდენად ოსტატურად ახერხებს იგი საკუთარი, პირადი გამოცდილების გარდაქმნას (და გამდიდრებას) მხატვრულ რეალობად.

5 დღევანდელი ქართული მოთხრობა, ჩემი დაკვირვებით, ამას ყველაზე სრულყოფილად ასახავს. თანამედროვე ქართველ მწერლებს გაცილებით უკეთ გამოსდით თანამედროვე ქართველის მხატვრული სახის (ტიპის) შექმნა, ვიდრე მხატვრული ტექსტის სხვა კომპონენტები (მაგალითად, კომპოზიცია, დაძაბული და საინტერესო სიუჟეტი, დამაჯერებლობა, ეპილოგი, სტილური თავისთავადობა და ა. შ.).

6 გარკვეულწილად კი, უფრო მეტად მოთხრობასთან. ფაქტობრივად სწორედ აქედან იწყება ფილოსოფიური პრობლემატიკის გაჩენა (თუმცა ამ ყველაფერის საწყისი ჯერ კიდევ გურამ რჩეულიშვილთანაა): ყოფის და არსებობის საზღვრის ფიქრი, სიკვდილის თემა, თავისუფლება, ეგზისტენციალური პრობლემატიკის შემოსვლა, ქალ მწერალთა გააქტიურება და ქალების თემის წამოწევა, ჰუმანისტური ტენდენციების გაძლიერება, ადამიანის „პატარა პრობლემების“ შემოტანა და ა. შ., რაც დღევანდელი ქართული მოთხრობისთვისაც მნიშვნელოვანია. ნაკლებ კავშირს ვხედავ მე-19 საუკუნის მოთხრობასთან, უფრო სწორად, ასეთი კავშირების დაძებნა დღეს სულ რამდენიმე ავტორთან თუ არის შესაძლებელი.

7 სტილს ბევრი რამ განსაზღვრავს ლიტერატურაში, უპირველესად დრო, შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია და საკუთრივ მწერლის ინდივიდუალიზმი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ქვეტექსტური (სიმბოლური, ალერგორიული) სტილი, ისევე როგორც მითის აღორძინება თუ მაგიური რეალიზმის ელემენტების შემოტანა, გარკვეულმა ვითარებამ მოითხოვა, სრულიად მიზანდასახულად იქნა გამოყენებული და თან ისეთი წარმატებით, რომ დღეს ჩვენ დამახსოვრებულად ვინობთ

თავს ამით არამხოლოდ ვინო ლოკალური (ეროვნული) მასშტაბით. რაც შეეხება დღევანდელ თავისუფალ სტილს, მას უდავოდ ეტყობა გამარტივება, რაშიც მხოლოდ ენობრივ სიმარტივეს (და არა სისადავეს) არ ვგულისხმობ. როგორც ჩანს, გარკვეული წნეხის მოხსნამ აზრისა თუ აზროვნების და საოქმედის გამარტივებაც გამოიწვია. თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში და ეს ფაქტია, რომ ნიჭიერი მწერალი ყველანაირ დროსა და ვითარებაში ქმნის ღირებულ ტექსტს, ნამდვილ ლიტერატურას და, საბედნიეროდ, ამის არაერთი მაგალითი ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაშიც შეგვიძლია დავასახელოთ.

8 თანამედროვე ქართული მოთხრობა საკმაოდ საინტერესოა როგორც თხრობის მანერით, ისე სიუჟეტურადაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენში აშკარად რომანი ლიდერობს (ეს კარგად ჩანს ლიტერატურული კონკურსების ვრცელ სიეტიში), ბევრია ისეთი ავტორი, რომლებიც ქმნიან მცირე პროზაულ თხრობებს, მოთხრობასა და ნოველას და საკმაოდ წარმატებითაც. თხრობის თანამედროვე მანერა უფრო თავისუფალია და შესაბამისად მრავალფეროვანია, რაც შეეხება სიუჟეტის განვითარებას, ვფიქრობ, აქაც არ უნდა გვქონდეს საქმე ცუდად, მით უმეტეს, რომ დღეს ბევრი საინტერესო, სხვადასხვა ტექნიკის მქონე ავტორი ქმნის მას. გვხვდება უაღრესად ოსტატურად დაწერილი მოთხრობები, სადაც სიუჟეტის განვითარება უდავოდ ხიბლავს მკითხველს და გაუნელებელი ინტერესით აკითხებს ტექსტს, თუმცა დღევანდელი ლიტერატურული პალიტრის მრავალფეროვნების გათვალისწინებით, არც შედარებით უგერგილოდ განვითარებული სიუჟეტების ნაკლებობაა.

9 დიდი განსხვავებაა დღევანდელი ქართული პროზის ენასა და თუნდაც სამი-ოთხი ათეული წლის წინანდელ ენას შორის, არადა ეს არც ისე დიდი პერიოდია ლიტერატურის ისტორიისა თუ სამწერლობო ენისათვის. ამას, ცხადია, თავისი მიზეზებიც აქვს და არაერთი. დღეს სხვა ქვეყნების ლიტერატურებშიც შეიმჩნევა ამგვარი ტენდენცია, შედარებით მარტივი, ტროპულად ლარიზი, სასაუბროსთან დაახლოებული, ნაკლებად ნორმალისტული ენა ფარგონის, სლენგისა და სკაბრეზის ნარევით. ენა ცოცხალი ორგანიზმი და მუდმივად ვითარდება, ეს აქსიომაა და არ ვდავობთ. ასევე მხატვრული ენაც, ისიც დროის მიხედვით ვითარდება და იცვლება. მიმაჩნია, რომ ლიტერატურის ენას მარტო მწერალი არ ქმნის, აქ უდიდესი როლი აქვს მკითხველსაც. თუკი მკითხველი კითხულობს, ე. ი. კმაყოფილია და მოსწონს, ანუ იღებს მას. დღევანდელი პროზის ენა არაა ერთგვაროვანი, მას ბევრი სხვადასხვა სტილისა და ლიტერატურული გემოვნების მქონე მწერალი ქმნის. ისიც უდავო ფაქტია, რომ ნიჭიერი მწერალი ყოველთვის გრძნობს ზომიერებას როგორც ფარგონისა თუ სკაბრეზის, ისე ტროპის გამოყენების დროს და ამის უზუსტესი შემფასებელიც მკითხველია. თუმცა, თუ ზოგად სურათს გავითვალისწინებთ, დღევანდელი ქართული ლიტერატურის ენა საკმაოდ მარტივია და ზოგჯერ ლარიზიც.

10 მოქმედებს, მაგრამ, როგორც ლიტერატურის ისტორია აჩვენებს, გადაწყვეტი არაა; ბევრი შემთხვევაა, როცა ცხოვრების გვიანდელ ეტაპზე დაწერილი ტექსტი ბევრად ჩამოუვარდება შედარებით ადრე დაწერილს. და თუ მაინც ვისაუბრებთ გამოცდილების ფაქტორზე, ალბათ უფრო უნდა მივაქციოთ აქ ყურადღება: მცირე პროზაული თხრობები (მოთხრობა, ნოველა) შედარებით ნაკლებად იმჩნევენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ვიდრე რომანი. ფართო მხატვრული ტილოს შექმნას რაღაც, თუნდაც მცირე, ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვება მაინც სჭირდება, რათა მწერალმა საკუთარისა და საზოგადოებრივის გადახარება, დაკავშირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, სინთეზი შეძლოს, რასაც მერე ახალ მხატვრულ რეალობად აქცევს. თუმცა ის უნიკალური ფორმულა აქაც მოქმედებს – რამდენად ნიჭიერია მწერალი.

11 თუკი ჩემი საყვარელი მწერლები ბის სიას გადავხედავ და ისე გავცემ ამ კითხვას პასუხს, გამოვა, რომ არა. ვინაიდან მათ შემოქმედებაში გამიჭირდება ტექსტების ამგვარი კლასიფიკაცია: სადებიუტო ტექსტი, ახალგაზრდულ ასაკში დაწერილი, გამოცდილების ბეჭედი აზის და ა. შ. კარგი ტექსტი კარგი ტექსტია და ყველა ასაკში იწერება. თან ეს დაყოფაც ძალიან პირობითი მგონია, რით უნდა განვსაზღვროთ, სანამდეა მწერალი დებიუტანტი? ან როდის ხდება ახალგაზრდა მწერალი გამოცდილი? ამ საზღვრების დასადგენი რამე კონკრეტული (საყოველთაოდ მიღებული) ნიშნები, კრიტერიუმები სადმე არსებობს?

12 ყველაზე ხშირად ვკითხულობ ნიგნებში (ბექაში, ლიტერატურულ ცენტრში და ელექტრონულშიც), ყოველთვის მიჩვენია კრებული ნავეიკითხო, რადგან ხშირად ერთი მოთხრობის მიხედვით ძნელია სწორი წარმოდგენის შექმნა და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება მწერალზე (თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ღამე სწორედ ერთმა მოთხრობამ გაგათვინოს თეთრად); ასევე ინტერნეტში, შედარებით ნაკლებად ბექავით ლიტერატურულ გამოცემებში.

13 ბოლო დროს ძალიან მომეწონა ბექა ქურხულის მოთხრობები, რომლებიც, მართალია, ახალი არ არის, მაგრამ მე ახლა ნავეიკითხე. მისმა ბოლო ორმა რომანმა („სამოთხიდან გაქცეულებმა“ და განსაკუთრებით „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებმა ანუ დეშთი-ყივჩაღმა“) ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მის მიერ გავლილ ლიტერატურულ გზას უკან გავყვი და თითქმის ყველაფერი ნავეიკითხე, რაც ამ რომანებამდე შექმნა. და სწორედ მაშინ კიდევ ერთხელ ვიგრძენი ის, რაც მე-10 კითხვაში ვთქვი: ნიჭიერი მწერალი დასაწყისიდანვე გამორჩეულია, თუნდაც ნაკლები ცხოვრებისეული და ლიტერატურული გამოცდილება ჰქონდეს.

14 ჩემი ხუთეული ასეთია: ბექა ქურხული, ნაირა გელაშვილი, აკა მორჩილაძე, ირაკლი ჯავახიძე, ნინო სადღობლაშვილი.

2022 პაატა ნასვლიაშვილის სააპორო-საგაომცემლო ომნიბუსი

– ბატონო რედაქტორო, შეთანხმდეთ, ისევე უნდა მოგმართოთ, ბევრი წლის წინ რომ მოგმართავდით, როგორც ჩემს პირველ რედაქტორს, თუმცა ახლა ჩემი რესპონდენტი ბრძანდებით. დავინწყით?

– რალაც არ მასხენდება, რომ ან შენ, ან რომელიმე სხვას, ჩემს მაშინდელ თანამშრომელთაგან „ბატონო რედაქტორო“ მოგემართოთ, მაგრამ რაკი ახლა შენ ჩემი ინტერვიუერი ბრძანდები, მიდი, დავინწყით!

– პაატა ნაცვლიშვილი ვიცით მოგ ზაური, უურნალისტი, პოეტი, მხატვარი, დიზაინერი, მეცნიერი, პროფესორი, რედაქტორი, გამომცემელი, მაგრამ ეს „საავტორო-საგაომცემლო ომნიბუსი“ რალა, ამ რამდენიმე დღის წინათ რომ დაგვიანონსეთ ფეისბუქზე სათქვესმეტოქტომბროდ? ომნიბუსი ხომ ეტლში შეტანილი ცხენებია, მაგრამ იქნებ გაქცევას არსად აპირებთ, ბატონო რედაქტორო, და შეკაზმული ცხენების ნაცვლად მათი ეფენების წკარანკურს გვპირდებით?

– ჩემმა ამ სათქვესმეტოქტომბრო ანონსმა ბევრი დააბნია. ოთხასამდე ნაცნობ-მეგობარმა დამგულა, დამტაშა და დამილაიქა და თუმცა უმეტესობა მხოლოდ ვარაუდით მიხვდა, რაზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი, ყოველი შემთხვევისთვის, ყველამ წარმატებები მისურვა. იყო ერთი-ორი განსხვავებული, მაგრამ ფრთხილი კომენტარები: „რალაც საინტერესოა საქმი“, „უფიქრობ, რალაც მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება!“, „რას ვაპირ-გვპირდები?“, „არც ერთი 16 ოქტომბერი წამოწყების გარეშე!“, „კიდევ რით უნდა გაგვაცოცო?“, „გამიკვირდებოდა, რამე უჩვეულოდ საინტერესო რომ არ ყოფილიყო...“ ერთი მეგობარი მეკითხება, რა ტიპის გამომცემლობაა ეგ შენი ომნიბუსი? ვერ დაიტევსო! მესამე, – სულ წინ წინ იაროს შენმა ომნიბუსმაო. ერთმა გაამერიკულბულმა მეგობარმა კი მომწერა, მეც ჩავედები შენს ომნიბუსში, თუ შეიძლებაო! შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ ის კი არ ვიცი, რატომ იფიქრა ზოგიერთმა, რომ XXI საუკუნეში XIX საუკუნის ტრანსპორტით მოინდომებდი წინ-წინ მოძრაობას. შენს მშვენიერ და ბატონად კითხვაშიც ეფენების ნოსტალგიურ წკარანკურთან ერთად ერთგვარი დაბნეულობაც გამოსჭვავის. რაკი დასაწყისშივე ჩემს რედაქტორობას გაუსვი ხაზი, რედაქტორულად უნდა გითხრა, რომ ომნიბუსი, ავტობუსის ეს წინაპარი, ტრადიციული გაგებით, ცხენებზემბული ოთხთავალა, თუგინდ – ეტლი, და არა ეტლში შემბული ცხენები, როგორც შენ ამბობ. მაგრამ ამ შემთხვევაში არც ერთი მართალი და არც მცდარი „ომნიბუსი“ სატრანსპორტოსთან ერთად საგაომცემლო ტერმინიც გახლავთ.

– სწორედ ეს მინდოდა გამეკვივია, ბატონო რედაქტორო! თავიდან მართლა დავიბენით, მაგრამ რაკი თქვენი ომნიბუსი „საავტორო-საგაომცემლოა“, სანამ მეორე დღეს პირველ განმარტებას გააკეთებდით, ყველამ ვიგუმანეთ, რომ ეფენების წკარანკურსიც, ცხენებიც და ომნიბუსიც


სიც საგაომცემლო საქმეს უკავშირდებოდა. ვიცი, რომ 16 ოქტომბერს, თქვენი დაბადების დღეს, ყველაფერს დაწვრილებით აგვიხსნიოთ თქვენს ფრენებს, მაგრამ იქნებ მანამდე, როგორც თქვენ ძველ თანამშრომელს, ექსკლუზიურად გამომხილოთ თქვენი ჩანაფიქრი, მით უმეტეს, რომ როცა ეს ინტერვიუ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება, თქვენი წლევანდელი დაბადების დღე უკვე ჩავლილი იქნება.

– ოკაი, სწორედაც როგორც ჩემს ძველ თანამშრომელსა და კეთილსინდისიერ კოლეგას, წინასწარ გეტყვი ყველაფერს და იმედი მაქვს, გაზეთის

იქნება თქვენი გამოცემები. შემოქმედების შეჯამებას აპირებთ თუ „ჯანი გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“ ამბავია? – მიყვარს კალამბურები! თუნდაც ინტერვიუერის სერიოზულ კითხვაში! არ ვიცი, ჯამი იქნება, ფილა, ქვაბი თუ კონტინენტი, მაგრამ მართლა მინდა, თავი მოვუყარო ყველაფერს, რაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიკეთებია – სხვადასხვა სახის ტექსტებს, მიმოწერას, ფოტოებს, საფოსტო მარკებს, პოლიგრაფიული დიზაინის ნიმუშებს... მე თავად თუ არა, სხვას ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. დაჯამებას თუ შეჯამებას მხოლოდ იმიტომ, რომ მე მემსახურა!!! თუმცა მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო, მეორე კურსზე მამარქმს ჩემთვის საწერი მანქანა რომ არ ეყიდა. მაშინ ეს ერთგვარი ფუფუნება იყო და ამ მანქანის გამო იმ წელიწადს ახალ ფეხსაცმელზე ჭარის თქმა მომიხდა. ჩემი ის პირველი საწერი მანქანა ნახმარი ტროფეული „კონტინენტალი“ გახლდათ, მეორე კი, როცა ჯერ ისევ სტუდენტი ვიყავი, მაშინდელ ლენინის მოედანზე მდებარე სამხედრო მაღაზიაში ახალთახალი იუგოსლავიური საწერი

პაატა ნასვლიაშვილის ომნიბუსი დაიჭრა!

საგაომცემლო ომნიბუსი სრულიად ახალი რამ არის საქართველოს კულტურულ სინამდვილეში. და როგორც არაერთი სხვა სიახლე, მისი გამოჩენაც პაატა ნაცვლიშვილის სახელს უკავშირდება. თავის საავტორო-საგაომცემლო ომნიბუსს მან „2022“ დაარქვა, თუმცა ეს მასშტაბური პროექტი 2021-ში დაიწყო და ალბათ 2022-ის შემდეგაც გაგრძელდება. დაწყებით კი იგი ერთ დღეს გამოცემული ლექსების ცხრა წიგნით დაიწყო. ამ ცხრა წიგნისა და თავისი ომნიბუსის შესახებ პაატა ნაცვლიშვილი დაწვრილებით ესაუბრა თავის ძველ კოლეგას და თანამშრომელს ნინო კვაჭანტირაძეს. ეს ინტერვიუ ამ ათი დღის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „ქართულ აზრში“ და ჩვენთან ამ გაზეთის რედაქციის თავაზიანი ნებართვით იბეჭდება.



გამოსვლამდე ამ ექსკლუზიური ინფორმაციით ფეისბუქზე თავის გამოჩენას არ მოინდომებ ხალხის დასაშინებლად და ისედაც კუსტარულ „სტრუქტურა კამბანისას“ სულმთლად არ გამოიხატებ. ომნიბუსს ევროპულ საგაომცემლო სივრცეში ძირითადად ისეთ წიგნებს უწოდებენ, რომლებშიც ერთი ავტორის სხვადასხვა დროის პუბლიკაციებია თავმოყრილი. ანალოგიურ გამოცემებს თუ კრებულებს აღმოსავლეთში „დივანი“ ჰქვია, მაგრამ მათში მხოლოდ პოეტური ნაწარმოებებია გაერთიანებული. ქართველმა მკითხველმა შედარებით უკეთეს იცის პაფუზის დივანი და გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“, ან თუნდაც ვახუშტი კოტიტეშვილის მიერ შედგენილი „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“, ვიდრე ვთქვათ, ყოველ ვერსის, არტურ კონან-დოილის, აგათა კრისტისა თუ ჯიმ კორბეტის ომნიბუსები. აღმოსავლური დივანისა და დასავლური ომნიბუსის ყველაზე სრულყოფილი სახე ერთი ავტორის თხზულებათა სრული კრებულებია ან აკადემიური გამოცემებია. პირველად ჩემი ნაწერების შეკრება და წიგნებად გამოცემა 2017 წლისათვის მოვიწყობე, ჩემი დაბადების 65-ე წლისთაზე. მინდოდა, ამ თარიღისთვის ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი 65 წიგნად გამომეცა და ჩემი გრაფიკული ნამუშევრების თუ კოლექციების რეტროსპექტიული გამოფენაც მომეწყო. ლექსები რამდენიმე დივანში უნდა გამეერთიანებინა, სხვა ნაწერები – ომნიბუსებში. დაიწყეთ კიდევ მუშაობა ქართული ლიტერატურის მუზეუმთან ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, მუზეუმის მრავალწლიანმა პარტნიორობამ „მაგთიმ“, რომელსაც ამ მუზეუმთან ერთად(აც) არაერთი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული, ჩემი პროექტის მხარდაჭერაზე მუზეუმის ხელმძღვანელობას უარი უთხრა, ამჯერად სხვა პრიორიტეტები გვაქვსო. მაშინ არ გამოვიდა, მაგრამ აი, ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ, გამომცემლობა „პეტიტთან“ თანამშრომლობით შესაძლებელი გახდა იმ დიდი პროექტის საგაომცემლო ნაწილის განხორციელება. თუმცა ახლა უკვე 70 წიგნის გამოცემა მაქვს ჩაფიქრებული. ეს ისე ერთბაშად ვერ მოხერხდება, როგორც მაშინ ვაპირებდი ძლიერი სმონსორის თანადგომით, მაგრამ მთავარია, რომ დაიწყეთ და 2021 წლის 16 ოქტომბერს ჩემი ომნიბუსი დაიჭრა!

– ფეისბუქზე ანონსით გვატყობინებთ, რომ ომნიბუსში დაჯამებული

მებას რაც შეეხება, ეს ალბათ კიდევ სხვა რამ არის. დრო ვერ მოვიხელთე, თორემ საიმედოებით გადავიკითხავდი კიდევ ერთხელ სომეხურს მოემის „შეჯამებას“, რომელმაც მრავალი წლის წინათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვფიქრობ, მისი ნაკითხვა ჩემთვის ახლა უფრო უპრიანია, ვიდრე ახალგაზრდობისას იყო. ჩემი ომნიბუსი, რომელსაც „2022“ დავარქვი, ალბათ იმ შთაბეჭდილებების ერთგვარი გამოძახილიც არის. ეს ომნიბუსი შეიძლება არაკლასიკური, მაგრამ მაინც პირველი ომნიბუსია ქართულ საგაომცემლო სივრცეში. დარწმუნებული ვარ, მალე სხვა ქართული ომნიბუსებიც გაჩნდება. ისე, როგორც სახელობით გამომცემლობების მთელი წყება გაჩნდა მას შემდეგ, რაც მე „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“ ჩამოვაყალიბე უკვე შორეულ 1993-ში. სწორედ პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობისა და გამომცემლობა „პეტიტის“ თანამშრომლობის შედეგია ეს პირველი ქართული ომნიბუსიც, რომელშიც ჩემი პოეტური, პროზაული, პუბლიცისტური თუ სხვა სახის წიგნების რამდენიმე სერიის გამოცემა მაქვს გათვალისწინებული. პირველ სერიაში 22 წიგნი იქნება.

– იყო დრო, თქვენს „წერილებს“ გოგობები ერთმანეთისგან ხელით ვიწერდით და მერე ვიხეობოდით კიდევ. შემდეგ გავვანებდით – ის პოეზიები წიგნებად გამოვით. დღეს თუ არა თქვენს „ომნიბუსში“ ყმანვილკაცობის დროინდელი ის თქვენი შემოქმედება?

– კი, რა თქმა უნდა, დღეს. „წერილებს“, რომელთაგან პირველი მესამეკურსელმა სტუდენტმა დავეწერე, გვერდს ვერ აუვლიდი. მიხარია, რომ თუმცა ხელით უკვე აღარ იწერენ, რაკი კომპიუტერის ტექნიკა ძალიან ნავიდა წინ, მაგრამ ის ჩემი „წერილები“ დღესაც ისევე პოპულარულია ახალგაზრდებში, როგორც მრავალი წლის წინათ, მათი ბებიების თაობაში იყო.

– როცა ციფრული ტექნოლოგიების პირისპირ აღმოვჩნდით, ჩემი თაობის დიდი ნაწილი ამბობს, რომ „პასტა“ კლავიატურაზე უკეთ წერდათ, ვიდრე ახლანდელი ჩანდა, ჩასწორებულსაც უკეთ ეტყობოდა, ბოლო-ბოლო ხელნაწერს სხვა ენერგეტიკა აქვს. როგორია პაატა ნაცვლიშვილის „პასტა“ ახლა?

– სხვათა შორის, შენახული მაქვს თითქმის ყველა „პასტა“ და „არა-პასტა“ კალამი, რომლებიც წლების განმავლობაში მიხმარია. ზოგიერთი მათ შორის საკმაოდ ძვირფასია და

მანქანა ვიყიდეთ. ქართულ შრიფტზე გადაკეთებინად სამას მანეთზე მეტი დაჯდა და იმ წელიწადსაც ძველი ფეხსაცმელებით მომიხდა სიარული. თუმცა კალამს ყველგან და ყველა პირობებში ვხმარობდი და დღესაც ვხმარობ, სანერ მანქანას სტუდენტობიდანვე ძალიან მივეჩვიე და ამიტომ კომპიუტერის კლავიატურაზე გადასვლა არც გამჭირვებია და სხვებზე ადრეც შევეგეუე. მერე დასაკაბადონებელი პროგრამებიც ავითვისე და ახლა ჩემი ომნიბუსის წიგნებსაც თავადვე ვაკაბადონებ.

– როდის აიღებს სტარტს თქვენი ომნიბუსი? ვინ იქნებიან მისი პირველი მკაზრები?

– პროექტი იწყება 2021 წლის 16 ოქტომბერს, ჩემი დაბადების დღეს, და იწყება იგი არა ერთი, არა ორი ან სამი, არამედ პირდაპირ ცხრა წიგნით! ეს არის ლექსების საკოლექციო ცხრაწიგნეული საერთო სათაურით „ცხრა“. ცხრაწიგნეულის თითოეულ წიგნს თავისი საკუთარი სახელიც აქვს: „ცხრის პირველი“, „ცხრის მეორე“, „ცხრის მესამე“ და ასე შემდეგ „ცხრის მეცხრემდე“. სულ ცხრაწიგნეულში 800-ზე მეტი ლექსია გაერთიანებული. მე ვისურვებდი, რომ ჩემმა მეგობრებმა ამ წიგნებით მიულოცონ საკუთარ თავს ჩემი წლევანდელი დაბადების დღე. მით უმეტეს, რომ ცხრავე წიგნის ყველა ეგზემპლარი სახელობითია! გამომცემლობა „პეტიტის“ უზრუნველყოფს, რომ თითოეულ წიგნში ჩაიბეჭდოს მფლობელის სახელი და გვარი, მე კი წიგნის ერთადერთობას და უნიკალურობას ჩემი ავტოგრაფით დავადასტურებ. ასე რომ, თითოეული ეგზემპლარი დაბეჭდვისთანავე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, მეტიც – ბიბლიოგრაფიული უნიკა იქნება. ჩემი ომნიბუსი ამ მხრივაც არის გამორჩეული. „პეტიტის“ შეკვეთებს მიიღებს როგორც ცხრავე წიგნზე ერთიანად, ისე თითოეულზე ცალკე, სურვილისამებრ. თითქოს სიმბოლურია, რომ „ცხრის“ ცალკე აღებული წიგნისიერი ერთი წიგნი 9 ლარი ღირს. ცხრავეს ერთად კი, თითქოს ელემენტარული არითმეტიკის ჯიბურზე, 81 ლარის ნაცვლად გამომცემლობამ 65 ლარი დაადო ფასად. თუ თქვენი გაზეთის მკითხველები დაინტერესდებიან, როგორ გაათავონ შეკვეთა, შეგიძლიათ გამოაქვეყნოთ „პეტიტის“ ტელეფონის ნომერი: 555 60 56 05. „პეტიტის“ უკვე 16 ოქტომბრიდან იღებს შეკვეთებს.

– მეორე წელს რა და ფეხსაცმელს თქვენს გვერდზე უოველკვირეულად აქვეყნებთ? სთუშაბათის ლექსებს. დღემდე უკვე 9-სუთშაბათის ლექსის გამოქვეყნებული არაერთი მთავარი დიად პოპულარულიც გახდა ფეხსაცმელზე. ეს ლექსები ან მათი ნაწილი თუ შედის ამ ცხრაწიგნეულში? ან აპირებთ თუ არა ცალკე წიგნად გამოსცეთ „ლიტერატურული კულტურის შთანაწერები“, რომლებიც რეგულარულად იბეჭდება „ლიტერატურულ საქართველოში“?

– „ლიტერატურული კულტურის შთანაწერები“ ბოლოს და ბოლოს, რა თქმა უნდა მიიღებს წიგნის სახეს, მაგრამ ეს უფრო შორეულ გეგმებშია. ხუთშაბათის ლექსები კი მალე გამოიცემა, მაგრამ ამ ცხრაწიგნეულში არა, ხუთშაბათის ლექსები აქ არ არის. ცხრაწიგნეული აერთიანებს შედარებით ძველ ლექსებს, რომლებიც 9 (აქაც 9!) წლის განმავლობაში – 2010-2019 წლებში იბეჭდებოდა ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში, კონკრეტულად – ირაკლი ჯავახაძის „ლიტერატურულ გაზეთსა“ და შოთა იათაშვილის „ახალ საუნჯეში“. ხუთშაბათის ლექსებს რაც შეეხება, მესამე ხუთშაბათის შემდეგ, როგორც ამას ყოველ ხუთშაბათს ვახსენებ გვერდის სტუმრებს, მოვკრებ ლაიქების რაოდენობით გამორჩეულ 69 საუკეთესო ლექსს და ალბათ წლის ბოლომდე ომნიბუსის პროექტის ფარგლებში ცალკე წიგნადაც გამოვცემ სათაურით „69“.

– უახლოეს ხანებში კიდევ რა წიგნებით გაახარებს თქვენი ომნიბუსი მკითხველს?

– ჯერ ისევ ლექსებზე ვიტყვი: მზად არის დასაბეჭდად ანაგრაფული ლექსების დიდი კრებული „555 პასტაური“. აგრეთვე ჩემი „შესაკრებთა განანაცვლებანი“ და პოლემიკური წერილები მის გამო. გარდა ამისა, წელსვე მიწა გამოვცე ერთი პუბლიცისტური კრებულიც: ზუსტად ათი წლის წინათ ქართული პრესის კაბადონზე გაივლია განახლებულმა გაზეთმა „დრონმა“, რომელსაც სათავეში ისევ იმ პირველი „დრონის“ რედაქტორი არჩილ გოგლია იდგა. არიკომ ამ ახალ „დრონში“ თავის მოადგილედ მიმინვია. სამწუხაროდ, „დრონის“ მეორე სიცოცხლე სულ რამდენიმე თვეს გაგრძელდა, მაგრამ სხვადასხვა ფანრის იმ უურნალისტურმა ტექსტებმა, რომლებიც მე ამ მოკლე პერიოდში იქ გამოვაქვეყნე, მთელი წიგნი შეადგინა და ისიც უკვე მზად არის გამოსაცემად სათაურით „ვაჰ, დრონო!“

– დიდი მადლობა ინტერვიუსთვის, ბატონო რედაქტორო! კითხვები კიდევ მაქვს, მაგრამ მოდით, ისინი სამომავლოდ შემოვიწახოთ. ეს ინტერვიუ კი თქვენს რეზოლუციას ელოდება: „დაიბეჭდოს“...

– კვლავაც საიმედოებით გუპასუხებ შენს კითხვებს, ომნიბუსზე იქნება ისინი, ავტობუსსა თუ ტროლეიბუსზე, უურნალისტისკაზე, პროზასა თუ პოეზიაზე... ხოლო ამ ინტერვიუს დაბეჭდად-არდაბეჭდვის ამბავს თქვენი კოხტა გაზეთის რედაქტორი გიორგი მამაცაშვილი გადანყვეტს. სიტყვამ მოიტანა და, მიწა გითხრა და გთხოვ, გიორგისაც გადასცე, რომ თუმცა თქვენი „ქართული აზრი“ ეს არის შემოვიდა ქართულ საგაზეთო ბაზარზე, ჩემი ქართული აზრით, იგი უკვე გამოირჩა საერთო ფონზე როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. მიწა, წარმატებები ფუსურგო მას. დღეს გაზეთის გამოცემა საკმაოდ სარისკო საქმეა, მაგრამ, იმ ანდაზისა არ იყოს, ვინც არ რისკავს, ის ვერც შამპანურს მიირთმევს! ვინძლო, ეს ანდაზა მე და ჩემს ომნიბუსსაც გვეხებოდეს!

ინტერვიუს უძღვევოდა
ნილო კვაჭანტირაძე
ფოტო ნინო სხირტლაძისა

თამაზ ნატროშვილი

რინდები

ნიმუშიდან

„გაზრდილი მალრიგადა“

რინდებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ აღმოსავლეთის ისტორიაში. ისინი ხშირად გვხვდებიან აგრეთვე აღმოსავლური პოეზიის ფურცლებზე. ქართველი მკითხველისათვის უცნობი როდია მათი სახელი. რინდების ვინაობა სხვადასხვა ასპექტით არის გაშუქებული როგორც ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში (ი. ჯავახიშვილი, ვ. გაბაშვილი, ე. ჯავახიძე), ასევე მხატვრულ ლიტერატურაში („ლაშარელა“). მაგრამ საკითხი ამონურულად არ შეიძლება ჩაითვალოს და კვლავ იმსახურებს ყურადღებას. დაინტერესება რინდების ასავალ-დასავალით საესკებო ბუნებრივია, ვინაიდან ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ „ქართლის ცხოვრების“ ერთ ფრიად საგულსხმო ეპიზოდში.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს ლაშა-გიორგის შესახებ: „განიშნა ვაზირნი სა-ნატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი, შეიყარა თანამოჰსაკენი მოსმურობათა და დედათა უნესთა თანა აღრევითა, რომელ ესეოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა, ტყლითს მყოფი, ნა-რიყვანეს რინდათა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მის-ღვასა არ მგონებლნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტყვენს მგუემელნი ძლი-ერად ვიდრემდე ერთიცა თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს“.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, ამ ეპიზოდს ის მოჰყვება შედეგად, რომ საქართველოს სა-მეფო დიდებულებმა, და განსაკუთრებით – ივანე მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა, მკაცრი ულტიმატუმი წაუყენეს ლაშა-გი-ორგის: ვეღარ მოვიტყენ შენს მეფობას, თუ „ბოროტთა კაცთა“ არ განუდგებიო. ქართველი მემკვიდრე გვარნაშენებს, მეფემ მონიანია თავისი შეცდომები და ფიცი მის-ცა ვეზირებს, თქვენს დაუკითხავად ნაბიჯს აღარ გადავდგამო.

ვინ იყვნენ ეს რინდები, რომელთა წრეში ქართველი მეფის ყოფნა საძრახის და სამარ-ცხვინო მოვლენად მიიჩნია ჟამთააღმწერელს? „რინდ“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქიფვს, მსმელს, თავზე ხელაღებულ ლო-თი-ფოსს (ესაა ძირითადი მნიშვნელობანი). ჟამთააღმწერლის ცნობის შინაარსიც თით-ქოსდა ემთხვევა ასეთ განმარტებას და მაშინ ბუნებრივია მისი აღშფოთება ლაშა-გიორგის მიერ ჩადენილი „უსახურების“ გამო. მაგ-რამ შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვეულებრივ ლოთებზე ნარმოგვედგინა ზემოხსენებული რინდები. აღმოსავლურ სამყაროში დახაც დაცინვითა და ზიზღით ეძახდნენ ასე, მაგრამ თვით „რინდები“ ამჟამად ატარებდნენ შერქმე-ულ სახელს და სრულიად სხვა მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რინდი, მათი გაგებით, ნიშნავდა ვაჟკაცსა და დარდიმანდს, კეთილშობილსა და პატიოსან ადამიანს. ეს მშვენივრად ჩანს აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებიდან...

სხვას რომ თავი დავანებოთ, ჟამთა-აღმწერლის მიერ უდიერად მოხსენიებულ რინდა რიცხვს მიეკუთვნება XIV საუკუნის სახელოვანი სპარსელი პოეტი ჰაფეზი. იგი წერდა: „როდესაც ჩაუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიხოქე. მთელი ქვეყნის ლაღი რინდები აქ მოვლენ სალოცავად“.

ლაშა-გიორგი და ჰაფეზი... ქართველი მე-ფე და სპარსელი პოეტი... დროსა და სივრცეს რომ არ დაეშორებინა ისინი, ვინ იცის, ეგებ შეხვედრადნენ ერთმანეთს რინდების წრეში.

რინდის სახეს ღრმა გენეტიკური ფესვები მოეპოვება აღმოსავლეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ისტორიაში. მისი ჩანასახი ჩნდება ჯერ კიდევ X საუკუნის არაბული პო-ეზიის ფურცლებზე. ეს სახე ჰაფეზმა დახვე-რა და მალა ატყორცნა, როგორც სიმბოლო ამაყი და თავისუფალი ადამიანისა.

ჰაფეზის სიტყვით, ბოროტებითა და მაც-დურობით აღვსილ ნუთისოფელში უსამართ-ლოდ აღზევებულ ბრიყვთა და რეგვენთა ზეი-მია, ხოლო ბრძენთ მათ წინაშე სამათხოვროდ გაუწევდათ ხელი. არაბულ მერნებს ზურგ-

ზე ვირის კურტანი ადგათ, ბნელი სიმაღლე ცხოვრების კანონად გადაქცეულა და ქერის ერთ მარცვლად აღარ ფასობს მგონის სიმ-ღერა. მაგრამ ჰაფეზი არ მისდევს მუხთალი ნუთისოფლის წესსა და რიგს („ო, გულო ჩე-მო, არ გაიკარო მხეჭველობა და სიხარბე მგლური“). მისთვის სულ ერთია, რას იტყვიან სხვანი. თავისი დაძინილი მოსასხამი ურ-ჩევნია სულტნის ზიზილ-პიპილებს.

ჰაფეზის ლექსებში ხშირად შეხვდებით რინდს – უსახლკარო მოქიფვს, უდარდელსა და ენამახვილს ეს გახლავთ პოეტის დადუ-ბითი გმირი და თვითონაც ეხალისება რინ-დობა („რინდებს, და თავზე ხელაღებულებს ლამეს ვუნათებ, როგორც სანთელი“). ჰაფეზი უმონოვლოდ დასცინის საზოგადოების უხამს კანონებს; სარკაზმითა და რისხვით მოიხ-სენიებს ზნეობის დამცველ მუჰთასიბებს, ვერცხლისმოყვარულ მუფთიებს, მოსყიდულ მსაჯულებს, ამპარტავან დიდობელებს, მატყუარა იმამებსა და მოლებს – მათი თვალთმაქცური ლოცვებითა და ბინძური საქმეებით, დედამიწაზე დამყარებული ჯო-ჯოხებითა და ზეცაში აღთქმული სამოთხით. ხოლო ფარისევლური მორალით შებორკილ საზოგადოებას უპირისპირდება რინდი – არნივითო ლაღი, გულითა და გონებით მდი-დარი, ერთგული მეგობარი, შმაგი მიჯნური.

ადამიანური სიყვარულის ქებათა ქება ენიანაღმდეგებოდა ღვთის სიყვარულის ქადაგებას. ჰაფეზის მიხედვით, სატრფოს სიყვარულს მოჰყვება განთავისუფლება მი-ნიერ თუ ზეციურ მეუფეთაგან. სიყვარულის თემასთან მჭიდროდ არის გადახლართული ღვინის თემა. კულტი მაჰმადიანთათვის აკრ-ძალული ღვინისა მკრებლობას წარმოადგენ-და მორწმუნეთა თვალში. ხშირად იმონებენ ხოლმე ფრანგი ირანისტიხ ჯ. დარმსტეტერის სიტყვებს იმაზე, რომ სპარსულ პოეზიაში ღვინის სმა – ესაა ამბოხი მიმართული ყურა-ნის წინააღმდეგ, ფარისევლთა წინააღმდეგ, სარწმუნოების მიერ ადამიანის ბუნებისა და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ.

ჰაფეზიც სვამს და ხან ღვინით თვრება, ხანაც – სიყვარულით („ჰაფეზ, არც ერთი წამი უღვინოდ, არც ერთი საათი უსიყვარ-ულოდა!“); სვამს და აღიუიანებს თავისი დროისა და მომდევნო საუკუნეთა ფარისევ-ლებს. მას ეამაყება სახელი მეამბოხე რინ-დისა, რომელიც ამსხვრევს ისლამის მიერ კვარცხლბეკზე აღმართულ ფეტიშებს. რინდს არ ხიბლავს აღთქმული სამოთხის მაცდუ-ნებელი სილამაზე და დაცინვით მიმართავს მორწმუნე ასკეტს: სამოთხეში ნუ მეპატიუე-ბი, ეგ ჩემი ხვედრი არ არისო. შენ წილად გერგო ღვთისმოსაობა, ლოცვა და კანონი, მე კი ღვინის სარდაფში წავალ, იქაც ტაძარია, ოღონდ სხვაგვარად ლოცულობენო („მოდ-და შევცვათ იმდენი ღვინო, რომ თავს დაგ-ვექცეს მთელი სამყარო“).

ჰაფეზის შემოქმედებით თანაბრად ტკე-ბოდნენ მეფენიც და გლახაკიც, სწავლულ-ნიც და უსწავლელნიც. მის ლექსებში ყველა იმას პოულობდა, რასაც ეძებდა. აღმოსავ-ლელი კომენტატორები ჰაფეზის თითქმის ყოველ სტრიქონში მისტიკურ შინაარსს ხე-დავენ და ამტკიცებენ, რომ ჰაფეზის მიერ ვნებიანი შტრიხებით დახატული სატრფო – ესაა ღმერთი, ხოლო ღვინო სულიერი ექს-ტაზია, რომელსაც ეძახება ადამიანი, რათა მიადნოს სანატრელ შეერთებას ღმერთთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროპულ მკვლე-ვართა ერთი ნაწილი საცხებით უარყოფს ჰაფეზის შემოქმედებაში სუფიურ განწყო-ბილებათა არსებობას და მისი ჰედონიზმი რეალური ცხოვრების მრწამსად მიიჩნია.

ჰაფეზი ამბობს: გათავდა მარხვა და მო-ვიდა გაზაფხული. გაიარა ფიცისა და პირ-მოთნე ლოცვათა ჟამმა. დგება ჟამი რინდე-ბისა – მხიარული ჟამი. ტკეპებიან რინდები სიმღერითა და ღვინით. რა არის დანაშაუ-ლი მსმელთა? რა ბრალი მიუძღვით? სჯობს იყო ალაღი რინდი, ვიდრე ფარისეველი, შავ სინდისი რომ მალავს. ჩვენ ასკეტები არა ვართ, ლაღი რინდები ვართ. ჭეშმარიტების ცოდნა – აი, ჩვენი ერთადერთი საიდუმლო. არაფერს ვუშვებთ არავის. სჯობს ღვინის-მსმელი იყო, ვიდრე სისხლისმსმელი! (საბ-ჭოთა ირანისტი ი. ბრაგინსკი ასკენის, რომ ჰაფეზის მთელ შემოქმედებას წითელ ხაზად გაჰყვება პროტესტი არსებული წყობის წინა-აღმდეგ და ოცნება ნათელ მერმისზე. რინდე-ბი ამიტომაც ხდებოდნენ ხოლმე სოციალურ მოძრაობათა აქტიური მონაწილენი).

ჰაფეზის პოეზიამ შთააგონა გოეთეს შეექმნა თავისი „დასავლურ-აღმოსავლური დივანისა“, რომლის მეორე ნაწილს ეწოდე-ბა „ჰაფეზის წიგნი“. ვაიმარელი ბრძენი ასე მიმართავს შირაზელ პოეტს: არც დასაბამი გაქვს, არც დასასრული – მარადისობის და-რად. ნეტავი, შენი ხვედრი მარგუნა! ჰაფეზ, ვიქნებით ჩვენ მეგობრები. ცხოვრების ჭირსა და ლხინში შენთან ერთად შევიცნობ სიყვარ-ულსა და თრობას...

როდესაც საბჭოთა პოეტების დელეგა-ციამ ირანში ყოფნისას მოინახულა ჰაფეზის აკლდამა-მუზეუმი, მათ მიართვეს შირაზელი პოეტის ვეება ტომი, მწვანე ტარსიკონის ყდა რომ ჰქონდა გადაკრული, და საბჭო-თა სტუმრები, აღმოსავლური ჩვეულები-სამებრ, შეუდგნენ „წიგნზე მკითხაობას“. ერთმა მათგანმა შემთხვევით გადაშლილ გვერდზე ამოკითხა შემდეგი: „მე მოვდიოდი შენს შესახვედრად, გადმოვიარე უდაბნო და მალაღი მთები. ჩვენ ერთი სისხლისანი არა ვართ, ჩვენ ერთი ენა არა გვაქვს, მაგრამ გული ეხმანება გულს“.

...რინდებს მარტო ჰაფეზის ლექსებში როდი ვხვდებით.

XII საუკუნის სპარსელი პოეტი სანაი თავს მიიჩნევდა რინდად და ასე მიმართავ-და „ზნეობის მეთვალყურე მუჰთასიბს: რა გესაქმება ჩვენს ზარხომ უბანთან, რა და-გიშავებს სევდით შეპყრობილ მიჯნურებმა?

XIII საუკუნის სპარსელი პოეტი ჯელალ-ედ-დინ რუმი აცხადებს: „ტრფობისგან მთვრა-ლი მივინდე რინდებს... და მეც რინდი ვარ“.

მოხიბვლელად ელვარებს თავისუფლე-ბის მოტრფიალ რინდის სახე XVI საუკუნის თურქი პოეტის რუმი ბალდადის შემოქმე-დებაში. მისი სიტყვით, სიყვარულით გა-ხელეპული რინდი მწუხარების მტვრით დაფარულ ქვეყანაზე მგორავი მარგალიტები არიან, რომლებიც არად ავდებენ მუხთალი ბედის სიბნელეს, რადგანაც სიყვარულის მზით არიან გასხვიოსნებულნი...

ცხადია, რინდებისათვის ღვინოცა და სიყვარულიც ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან თავის დასხნის გზა იყო, ნედომა უხილავი სინათლისა და შეურყენელი ჭეშმარიტებისა; ძიება სხვა ღმერთისა, რომელიც არა ჰგავდა მაჰმადიანი მოვლებისა თუ ქრისტიანი ხუცე-ბის ყბადაღებულ ღმერთს.

აღმოსავლური პოეზიის მასალების მი-ხედვით ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთის ქალაქებში არსებობდა „რინდების უბანიც“, სადაც თავშესაფარს პოულობდნენ სხვადას-ხვა გვარისა და სარწმუნოების მიუსაფარნი: ქრისტიანები, იუდეველნი, ზოროასტრელნი, მანიქეველნი, მრავალნაირნი ერეტიკოსნი ისლამისა, მოხეტიალე დერვიშები, მელექ-სენი და მუტრიბანი.

რინდები XIII საუკუნის თბილისშიც ცხოვ-რობდნენ. ამას ნათლად მეტყველებს ჟამ-თააღმწერლის ცნობა.

ქართული სიტყვა „გარინდება“, ალბათ, სულიერი ექსტაზით შეპყრობილი რინდის სახემ წარმოქმნა (ვგონებ, პ. ინგოროყვას გარდა, არავის აღუნიშნავს ეს ანდა იმდენად უეჭველია, რომ აღარც ჩაუთვლიათ მსჯე-ლობის ღირსად. ამას გვაფიქრებინებს ვახუშ-ტი კოტეტიშვილის მოხდენილი თარგმანიც ჰაფეზიდან: „...გზად ვინმე რინდი შეჰყრია, გზის პირად გარინდებულნი“).

მაგრამ რა ესაქმებოდა ქართველ მეფეს რინდებთან?

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „უეჭვე-ლია, ლაშა-გიორგი სამეფო ტახტის მპყრო-ბელთა შორის თავისი ადამიანური თვისებე-ბით არაჩვეულებრივ პიროვნებად მოჩანს“.

მართლაც, ჟამთააღმწერელი ერთობ კო-ლორიტული შტრიხებით გვიხატავს თამარის მემკვიდრის პორტრეტს.

როგორც ცნობილია, ველისციხეში ყოფ-ნისას ჭაბუკი მეფე ერთი გათხოვილი ქალის მშვენიებას იხე მოუხიბლავს, რომ თავისი გრძნობა ვერ დაუთმობს იმ და ცოლად წაუყვანია იგი. ქართული სახელმწიფო სა-მართალი უკრძალავდა მეფეს თავისივე ქვე-შევრდომი ქალის შერთვას. მაგრამ სიყვარ-ულის დაუოკებელი გრძნობა სახელმწიფო სამართლის დებულებაზე ძლიერი გამოდგა. მეფისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ვე-ლისციხელი ქალის გაგდებასა და კანონიერი ცოლის შერთვას, რათა სამეფოს ჰყოლოდა კანონიერი ტახტის მემკვიდრე. ლაშა-გიორგი კი ვერაფრით თმობდა თავის სატრფოს და სხვა ცოლის გაგონებაც არ სურდა („მიჯ-

ნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა განაჲა“). სამღვდელთა კიცხვად მეფეს და აფრ-თხილებდა, მსიძავნი და მგერულნი ღვთის სასაჯელს ვერ ასცდებნათ. ღვთისთილებდნენ და შეახსენებდნენ ბიბლიური დავითის სიყვარ-ულის ისტორიას... ლაშა-გიორგისაც უკვე ჰყავდა შვილი ველისციხელი ქალისაგან, მაგ-რამ მოსალოდნელმა ღვთის სასაჯელმა ვერ შეაკრთო ახალგაზრდა მეფე. მაშინ უმალ-ლესმა სამღვდელთებამ უკიდურეს ზომებს მიმართა: „წარგუარეს ქალი იგი, დედა და-ვითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს“. მაგრამ ლაშა-გიორგი თავისი სატრფოს ერთგული დარჩა და სხვა ცოლი აღარ მოუყვანია.

საერთოდ, ქართულ წყაროებში იშვიათია მეფეთა სამიჯნურო რომანტის გადმოცემა, ლაშა-გიორგის ამბავი სასაიამოვნო გამო-ნაკლისს წარმოადგენს. ჟამთააღმწერლის თხრობა ადამიანური უბრალოებით ამდიდ-რებს თამარის მემკვიდრეს – საქართველოს მეფეც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ჩვე-ულებრივად უძგერდა გული.

გაუგონარი რამ იყო ლაშა-გიორგის სურ-ვილი – გადედოფლება ველისციხელი ქალი-სა, ამიტომაც უკიფინებდნენ: „ვითარ ეგების თამარ მეფისა ძესა ესეას ცოლად გლუბთა ასული?“ (ანალოგიური სიტყუაციები ჩვენში-აც ყოფილა და სხვაგანაც, შორეულსა თუ ახლო წარსულში).

ქართველმა მეფემ თამარი გამოწვევა ესროლა ფეოდალურ-კლერიკალურ წრე-ებს და ზურგი აქცია ტრადიციას. „აღტაცე-ბულ იქმნა გულისთქმათა მიერ“, – როგორც გვამცნობს ჟამთააღმწერელი. და მაინც არ ენერა პირადი ბედნიერება სამეფო ტახტის მპყრობელს. თავისუფლად მოაზროვნე მეფე უძლური აღმოჩნდა სამღვდელთების წინაშე. თავისი დოგმების გასამარჯვებლად არაფერს შეეპუებოდნენ ფანატიკოსი ღვთისმსახურნი, რომლებმაც ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის გამე-ფებამდე გამართეს ის სარწმუნოებრივი პა-ექრობა („სამარცხვინო და შემადრწუნებელი შეცილება“ – ივანე ჯავახიშვილის სიტყვით), დანვრილებით რომ არის აღწერილი „ქარ-თლის ცხოვრებაში“. თურმე კათალიკოსმა მართლმადიდებლობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად იმაზე უკეთესი ვერა მოი-ფიქრა რა, რომ სეფისკვერი (სხვა ვერსიით – „წმინდა კრავი“) სამი დღის ნაშომილოარი ძალისათვის მიეგდო და რომელი სარწმუ-ნობის სეფისკვერსაც შეჭამდა ძაღლი, ის სარწმუნოება გამოეცხადებინა ცთომილად.

„კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშ-ვილი გვაუწყებს, რომ სამღვდელთებსა ლა-შა-გიორგის მეფობაშიც განუზრახავს იმავე ექსპერიმენტის ჩატარება, მაგრამ ახალგაზ-რდა მეფეს უთქვამს კათალიკოსისათვის: „არა, მამო, უკეთუ მე მაშინ დავესწრებოდი, არამცა შექვენივინებინა საქმე ესე, ვინაით-გან საშინელ და შემადრწუნებელ არს ესე“. მიუხედავად ამისა, ლაშა-გიორგი მაინც იძულებული გამხდარა, ნება დაერთო სარ-წმუნოებრივი პაექრობისა, ოღონდ მისივე დაჟინებით უფრო ესთეტიკური ფორმა შე-ურჩევით მართლმადიდებლობის დასადგე-ნად – დამშუული ძაღლების ჩარევის გარეშე (იოანე ბატონიშვილის ცნობები მისი თხზუ-ლებიდან „ისტორია ქართლისა“ ვრცლად არის განხილული და ნდობის ღირსად მიჩნე-ული კორნელი კეკელიძის ნაშრომში „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის“).

...ღვთისმსახურებს მშვიერი ძაღლის სამ-სჯავროზე გაჰქონდათ თავისი სარწმუნო-ების ჭეშმარიტება. რინდების ერთადერთ სარწმუნოებას წარმოადგენდა ჭეშმარიტება. მიმზღველი იყო მათი ლაღი ცხოვრება და მეამბოხე სული. რინდები არ ემორჩი-ლებოდნენ ცისა თუ ხმელეთის მეუფეებს, უსახლკარონი იყვნენ და მთელი ქვეყანა თავიანთ სახლ-კარად ეგულბოდათ, უქო-ნელნი იყვნენ და ყველაზე მდიდრებად მი-აჩნდათ თავი. საქართველოს მეფე, პატრონი ქალაქებისა და სასახლეებისა, მბრძანებელი ყმათა და ლაშქართა, დათრგუნეს ფეოდალუ-რი საზოგადოების უღმობელმა კანონებმა, რომელთაც არაფრად ავდებდნენ რინდები.

ათაბაგ-რეგენტობის უნით შეპყრობილ დიდვეზირთა, თავკერძა ფეოდალთა და ფანატიკოს ღვთისმსახურთა გარემოცვაში მოქცეული მეფისათვის რინდებთან ყოფ-ნა დროებითი გაქცევა იქნებოდა სამეფო კარზე გაბატონებული სულის შემსუთველი ატმოსფეროდან.

„დემოკრატია მართვის ყველაზე უარესი ფორმაა...“

უინსტონ ჩერჩილი

დემოკრატია ის არის, როცა ფინიები სპილოს ირჩევენ, რათა მერე უყფონ...
ხალხში გაგონილი

ეს დღემდე უცნობი (ქართველი მკითხველისთვის) ინტერვიუ თუ საუბარი, რომელიც 1953 წელს გამართულა (ჩერჩილისთვის ნობელის პრემიის მინიჭების შემდეგ) თვალსაჩინო ბრიტანელ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს უინსტონ ჩერჩილსა (1874-1965) და აგრეთვე დიდ მეოცე საუკუნელ ამერიკელ მწერალს, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატ ერნესტ ჰემინგუეის (1899-1961) შორის, შვილიშვილისგან საახალწლო საჩუქრად მივიღე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, ქალაქ ატლანტაიდან (ჯორჯიის შტატი).

ჩემი შვილიშვილი თეონა კვარაცხელია, რომელსაც წინასწარ ვიხსენებ, ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია და დროის უმეტესი ნაწილი ხან რომელ ბიბლიოთეკაშია და ხან რომელში... და აი, გასული საუკუნის 50-იანი წლების ძველი გაზეთების ქექვისას ნახსენებია ორი დიდი და ბრძენი მეოცე საუკუნის ამ საუბარს, რაც უთუოდ დიდად საგულისყურო და ყურადსაღებია თანამედროვე მკითხველისთვის.

განა დღეს არის ისეთი ვინმე, ვისაც მეტნაკლებად გაგონილი მაინც არა ჰქონდეს ჩერჩილის სახელი. 2002 წელს ერთ-ერთი კომპანიის გამოკითხვის თანახმად, უინსტონ ჩერჩილი აღიარებულია „ყოველის უფრო გამოჩენილ ბრიტანელად“.

თვითონ უინსტონ ჩერჩილი აღნიშნავდა: უკეთეს დროულია ამის თქმა, უნდა გახსოვდეთ, რომ ჩემს სარჩოს ყოველთვის ჩემი კალმითა და ენით მოვიპოვედი. ჩერჩილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ფრიად ფართოა – დაახლოებით ორმოცი ნაწარმოები სამოც ტომად, ათასობით წერილი და ესეი. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმის სიტყვებს, ყოვლის უფრო მძიმე განსაცდელთა ჟამს ბრიტანელთა რომ აღაფრთოვანებდა.

ჩერჩილი წარმოუდგენლად აფორისტულია, კაცობრიობის ისტორიაში ის უთუოდ ერთ-ერთი ის ადამიანია, რომლის აზრებსაც, ბრძნულ გამონათქვამებს ყოველდღიურად ვიშველიებთ ლაპარაკში.

განსაკუთრებით გახმაურებულია ჩერჩილის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1946 წლის 5 მარტს ვესტმინსტერის კოლეჯში ქალაქ ფულტონში (მისურის შტატი). იმ დროისთვის უკვე ოპოზიციის ლიდერი ჩერჩილი ამერიკის შეერთებული შტატებშია, როგორც კერძო პირი. როცა ის თავის ამ სიტყვას წარმოთქვამდა, ფრიად გამწვავებული იყო ურთიერთობა ანტიკომუნისტური კოალიციის იმჟამინდელ მოკავშირეთა შორის. ჩერჩილს ესმოდა, რომ იმ ჟამიდან სსრ კავშირის წინააღმდეგ ლიდერთა ტვირთი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებიდან უნდა გადასულიყო შეერთებული შტატების ხელში, რომლის პრეზიდენტი ტრუმენი სსრ კავშირს ატომური იარაღის გამოყენებითაც კი ემუქრებოდა. მაგრამ, ამასთანავე, ჩერჩილს გამოუვალ მდგომარეობად არ მიაჩნდა ახალი ომი, ესმოდა რა ყველა ქვეყნისთვის ამ ომის საშიშროება.


ჰემინგუეი, რომელიც კარგ მწერლობას საუკეთესოდ უთავსებდა კარგ ჟურნალისტობას, სწორედ ფულტონის ცნობილი სიტყვიდან გამომდინარე, ესაუბრება უინსტონ ჩერჩილს, რომელიც ამ დროს უკვე 79 წლისაა, აღსასრულამდე კიდევ 12 წელიწადი აქვს დარჩენილი, ჰემინგუეი კი ორმოცდაათობით წელიწადსა და ჯერ ისევ კედელზე უქმად ჰქვია მამის ნაჩუქარი თოფი, რვა წლის მერე სასიკვდილოდ რომ უნდა გავარდეს...

აქ არ ჩანს, სად შეხვდა ერთმანეთს ეს ორი ბრძენი ადამიანი – თვითონ ატლანტაში, ფულტონში, კასტროს რევოლუციურ კუბაში თუ შტატების რომელსაღმდეგ ქალაქში, მაგრამ ამას ამ შემთხვევაში არცაა მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ჟურნალისტმა ჰემინგუეიმ ხელიდან არ გააშვია დიდი ცოდნისა და გამოცდილების კაც-ყულაბასთან შეხვედრის ბედნიერი შესაძლებლობა და ძვირფასი განძი დაგვიტოვა. აქვე ისიც უნ-

და ითქვას, რომ იმ დროის მსოფლიოში არ ყოფილა არც ერთი ცხელი წერტილი, რომ ჟურნალისტ ჰემინგუეის რეპორტაჟი არ გადაეცეს რომელსაღმდეგ გაზეთში.

მოკლედ, ასეა თუ ისე, დღეს მართლაც იშვიათ საახალწლო-საშობაო საჩუქარს ვთავაზობთ ჩვენს ფრიად გემოვნებიან მკითხველს...

პიროვნებები, რომლებსაც უსვალეს საყვარო



ე. ჰემინგუეი:

– სერ უინსტონ, თქვენ ამხელა ცხოვრების გზა გაქვთ გამოვლილი, ბევრი რამ კარგიც ნახეთ და ძალიან ცუდიც. თავს როგორ გრძნობთ, ხომ არ დაიღალეთ. თქვენ იმდენი დაწერეთ, მარტო იმ თქვენი სამოცი ტომეულის თანახმად არის შესაძლებელი IX-XX საუკუნეთა დიდი მონაკვეთის აღდგენა. ამასთანავე, ბუნებრივად, ბევრს კითხულობდით და ხატავდით. ყოველწუთიერად აკვირდებოდით და სწავლობდით ცხოვრებასა და ადამიანებს. ნუთუ დაღლას არ გრძნობთ?

უ. ჩერჩილი:

– კაცია თუ ქალი, მონიფულ ასაკში გულწრფელად მაძიებლები, ბევრად უკეთესნი გახდებიან იმ მოწვევთაგან, გულგრილად რომ არიან განწყობილი ჩვენი ხმაურისა და ჭორჭურის, გაოცებისა და ღვარძლიანობის საუკუნეში.

ადამიანის განათლება გზამკვლევ ძაფად უნდა გასდევდეს იმას, თუ რას კითხულობს ის მთელი თავისი ცხოვრების სიგრძეზე და დარწმუნებული ვარ, რომ ყველას, ვინც სარგებელი რამ ნახა უნივერსიტეტში სწავლით, კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მსოფლიო და თავისი ქვეყნის დიდებული ნიგნების კითხვა. იმათ იცანს, რა უნდა ნაიკითხონ და როგორ განმარტონ ნაკითხული.

შესვენებებისას არცაა ცუდი არ არის, თუ ამ შესვენების დროს საჭირო მიმართულებით გამოვიყენებთ. გაუკეთესება ცვალებადობას ნიშნავს, ხოლო იმისთვის, რათა სრულყოფილებას მივაღწიოთ, საჭიროა ხშირი ცვალებადობა.

მაგონდება ერთი პროფესორი, სიკვდილის წინ ერთგულმა მოწვევებმა რომ სთხოვეს, უკანასკნელი რჩევა-დარიგება რამ მოგვეცით: მან უთხრა – ციტატები შეამოწმეთ ხოლმეო!

მე ყოველთვის მზად ვარ სწავლისთვის, მაგრამ ყოველთვის არ მომწონს, როცა მასწავლიან.

მუდამ იმ აზრისა ვიქნები, რომ მომავალი კოლეჯებში სწავლების ვადა უფრო უნდა გახანგრძლივდეს და არა შემცირდეს, ახალგაზრდა ოფიცრებმა კი საგანგებო ტექნიკური ცოდნა უნდა გაიღრმავონ.

მუდამ იმ აზრისა ვიქნები, რომ მომავალი კოლეჯებში სწავლების ვადა უფრო უნდა გახანგრძლივდეს და არა შემცირდეს, ახალგაზრდა ოფიცრებმა კი საგანგებო ტექნიკური ცოდნა უნდა გაიღრმავონ.

ვისწავლოთ ისტორია და კიდევ ერთხელ ვისწავლოთ ისტორია, რომელიც სახელმწიფო მართვის სუყოველ საიდუმლოს შეიცავს. უსარგებლოა იმის კეთება, რაც გიყვარს; უნდა გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ.

ჩემი სუყოველი ცოდნა, რის ცოდნაც არ უნდა იყვეს, უპირატესად ნიგნებიდან და იმ საბუთებიდან კი არა მაქვს შეძენილი,

უცხოეთის საქმეებს რომ ეხება, არამედ ხანგრძლივი დროის სიგრძეზე სწორედ ამ საქმეთაგან შეძენილი პირადი გამოცდილებით. მომავლის იმპერიები გონების იმპერიები იქნებიან.

არცაა ადამიანში არ აღვიძებს უფრო დიდ მონივნებას, ვიდრე ბიბლიოთეკა.

ე. ჰემინგუეი: – როგორც დიდად გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორ უყურებთ პოლიტიკას?

უ. ჩერჩილი: – პოლიტიკა ისევე გვიტაცებს, როგორც ომი... პოლიტიკური ნიჭი იმის უნარია, რომ იწინასწარმეტყველო, რა შეიძლება რომ მოხდეს ხვალ, მომავალ კვირას, ერთ თვეში, ერთ წელიწადში, ხოლო მერე უნდა განმარტო, რატომ არ ახდა შენი წინასწარ განჭვრეტილი ამბავი.

სიძულვილი პოლიტიკაში იმავე როლს ასრულებს, რასაც მუჟა ქიმიში.

თუ პოლიტიკაში დაქვევებული ხარ, რა უნდა ქნა, არაფერი არ ქნა; თუ დაქვევებული ხარ, რაც უნდა თქვა, მაშინ ის თქვი, რასაც ნამდვილად ფიქრობ.

კრიტიკა პოლიტიკურ ორგანოში ადამიანის სხეულის რომელიმე ორგანოს ტკივილის მსგავსია. ცხადია, უსიამოვნო რამ არის, მაგრამ რა დაემართებოდა ორგანოს უიმისოდ?

როცა პოლიტიკოსები ერთმანეთს ეყაღმყაღმობიან, დროდადრო კარგი რამეა, მაგრამ ეს ცუდი პოლიტიკური ზნე-ჩვეულებაა.

საშუალო დონის პოლიტიკოსს ძალიანაც არ ანუხებს თანამიმდევრობა. ის იმ საქონელს აწარმოებს, რომელთა საშუალებით აცდუნებს ჯარ-ჯამათს, ოლონდ, როგორც კი ამ საქონლის მიმართ გულისყური უდუნდება, ის წყნარად, ახლა მორიგი სიახლით ალაპაჯებს ვიტრინას.

სუყოველ ქვეყანაში გამარჯვებულთა ერთი და იგივე ნამოძახილი ისმოდა: ჩვენმა ჯარისკაცებმა მოიგეს ომიო; ახლა თვალყური იმას უნდა ვადევნოთ, რომ ჩვენმა პოლიტიკოსებმა არ ნააგონ ზავის ხელშეკრულების დადების დროს.

მე ვიანგარიშე, რომ ამ ურთულეს ჟამს, როცა ესოდენ ბევრი ბრძოლა ხდება და ესოდენ ბევრი უცილობელი და რთული მანევრი ხორციელდება, სუყოველი მნიშვნელოვანი ამბის ჟამს ჩვენი პოლიტიკოსები და ხელმძღვანელობა უნდა აღმოჩნდნენ უმაღლეს დონეზე და რომ ღირსება ჩვენი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უნდა იყვეს (ამ სიტყვებით ჩერჩილმა რადიომსმენელთ მიმართა

1941 წლის 27 აპრილს, ბრიტანეთისთვის გაჩაღებული ბრძოლის დროს)

მე პირადად მნიშვნელოვანად არ მიმაჩნია, როდენი უცდლოთ მასდის პოლიტიკოსს, სანამ იმას ეს შეცდომები მოსდის. ეს იგივეა, რომ ჩვენი მგლებს მიუგდო: სანამ შენ არ იცი, კიდევ რა ქნა, მგლების ხროვა შენს მარხილს ეწევა.

პოლიტიკა, ჩემო ბატონო, ჩემგან არ გესწავლება, დილაადრიან გაღვიძებასა ჰგავს, როცა არ იცი, ვისი თავი აღმოჩნდება ბალიშზე შენ გვერდით.

რაც შემიხება მე, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ პოლიტიკაში იმ მტრობის მიხედვით უნდა ვმსჯელობდეთ, რომელ მტრობასაც ჩვენი ოპონენტები ავლენენ. მე ყოველთვის ცვდილობდი, არა ოდენ დავმტკბარიყავი იმათი მსჯელობით, არამედ სავსებით დამემსახურებინა ის მსჯელობა.

პარტიათა ცვალებადობა, ჩვეულებრივ, მუდმივობის ბევრად უფრო საყურადღებო დარღვევად მიიჩნევა, ვიდრე შეხედულებათა ცვალებადობა.

თანამედროვე სამყაროს მართავენ ქანცვანყვეტილი პოლიტიკოსები, რომელთა მიზნები მთლიანად მიმართულია რამე თანამდებობის ხელში ჩაგდებისკენ ანდა ამ თანამდებობაზე სხვა ადამიანისთვის გზის გადაკეტვისკენ. ამიტომ ადგილი აღარ რჩება მნიშვნელოვან საკითხთა არსებითად განსახილველად.

სახლს აგებენ აგურებით, ხსნარით და კეთილი ნებით და არა პოლიტიკით, ცრურწმენებითა და ღვარძლით.

უკეთეს სიბრძნის ისევე ადვილად სწრაფად გავრცელება იქნებოდა შესაძლებელი, როგორც სისულელე ვრცელდება, ეს დიდი პოლიტიკური რეფორმა გახდებოდა.

მე არ მახსოვს არც ერთი საყოველთაო არჩევნები, რომელთაც წინასწარჩვენო დაპირებათა გულსატკენ და უნაყოფო დავამდე არ მივეყვანეთ.

ე. ჰემინგუეი: – სერ უინსტონ, როგორ იხსენებთ თქვენს ახალგაზრდობას, თქვენი ცხოვრების საძირკველს?

უ. ჩერჩილი: – ახალგაზრდობაში მე თვითონ ვინუტეგებდი თავს. ბლენიში ჩემი ცხოვრების ყოველი უფრო მნიშვნელოვანი ორი რამ გადაწყვიტე: გაგზავნილიყავი ამქვეყნად და ცოლი მომეყვანა. ორივე გადაწყვეტილება სწორი გამოდგა. ბლენიში, მოგესხენება, ძვირფასო ერნესტ, ჰერცოგ მალბოროთა საგვარეულო სასახლეა, ოქსფორდის ახლოსადა განლაგებული, ძველი ვულფტოკის გვერდით. თავისი სახელწოდება სასახლემ ჯონ ჩერჩილის, მალბოროს პირველი ჰერცოგის, 1704 წელს ფრანგებზე გამარჯვების აღსანიშნავად მიიღო. ბლენიში უინსტონ ჩერჩილი, ანუ თქვენი მონა-მორჩილი, ამ ქვეყანას მოველინა 1874 წლის 30 ნოემბერს. აქვე ის ვარსიყებოდა კლემენტინა პოზიუს, რომელიც ცოლად მოიყვანა 1908 წლის სექტემბერში.

სკოლაში ჩემი სწავლის თორმეტი წლის მანძილზე ვერავინ ვერ შეძლო ჩემთვის ლათინური ოთხსკარედის დაწერინება ანდა ბერძნულად რისამე სწავლება, ანბანის გარდა.

ამქვეყნად ბავშვების მოვლენა ესეგვარი რამ წესით ნამდვილად ფენომენალური საქმეა. არ ვიცი, რარიგ მოიფიქრა ეს ღმერთმა. ძალიან მოხარული ვარ, რომ ადამიანების უმრავლესობა ნიჭიერი იბადება და თანაც, კიდევ ისეთი რისამე მიმართ მიდრეკილება აქვს, როგორიც, მაგალითად, ჭადრაკია. ეს ნიჭიერი მოჭადრაკენი ერთდროულად თექვსმეტ დაფაზე თამაშობენ და ნაადრევად იხოცებიან ბნედისგან. გეგმაზომიერი გამოსავალია.

ერთი სიტყვით, ვიმედოვნებ, მათემატიკოსნი გვარიანად არიან უზრუნველყოფილნი და ლუკმა-პურს ვერ წაართმევენ.

ჯერ ისევ სულ პატარა ბიჭი ვიყავი, ნინველი, რომ დედაჩემს ვუთხარი – ან კეისარი, ანდა არაფერი-მეთქი. წლების მერე მიგზვდი, რომ მამაჩემის გამოცდილებამ ჩემში სამხედრო მულამი შეიცნო და, როგორც მოგვიანებით მითხრეს, თურმე ასე იმიტომ გადაუწყვეტია, რაკი დაკვირვების შემდეგ ჩემში ადვოკატობის ნიშანწყალი ვერ უპოვია. ვინც ახალგაზრდობაში რადიკალი არ ყოფილა, იმას გული არა აქვს. სახლიდან ჩემი ნასვლის გამო იმდენს მიჩრევდნენ და

მეჩინებოდნენ, რამდენსაც ამქვეყნად ღვთის წყალობით და მამაჩემის ძალისხმევით მოვლინებულს. ჩემს თავს ერთსა და იმავეს ვუძიებდები, იყავი იმედინად, ოღონდ არ უარყო, რაც შენ გარშემო ამბები ხდება.

მე ორი ხელით საჯარო სკოლების მომხრე ვარ, მაგრამ არ ვისურვებდი იქ ისევ მოხვედრას, უკეთეს ცხელი ყავადნის ხელში ალბა გინდა, ეცადე, რომ სახელური არ მოსტეხო.

განათლება ნამდვილად თავშესაქცევი მივიღე. ჯერ ერთი, ამ ცოდნას ცარიელი ხარბი გონებით და მაგარი ლაყურებით მიუვახლოვდი, ყოველსავე ეგრევე ვყლაპავდი. მეორეც, გვერდით არავინ არა მყავდა ისეთი, ვინც მიკარნახებდა: - ნაიკითხე ვისიმე პოლემიკური შრომაო; ორი მოსაზრება პრობლემის არსის გარკვევაში დაგეხმარებაო, ანდა - ამ თემაზე არის ერთი ბევრად უკეთესი ნიგნიო და ასე შემდეგ...

აი, აქ პირველად შემხურდა უნივერსიტეტის ძუძუთა ბიჭების, რომელთაც ჩინებული მასწავლებლები, პროფესორები ჰყავდათ, რომელნიც ყოვლის უფრო სხვადასხვა დარგში ცოდნას აგროვებდნენ და სწყუროდათ, რომ შეძენილი ცოდნა მანამ გაეყიოთ ახალგაზრდობისთვის, სანამ წყვილია და შეუერთდებოდნენ. ახლა კი მეცოდებიან ის აბუეტი ბიჭები, როცა ვხედავ, რარივ ქარაფშუტულად ფანტავენ ძვირფას, სწრაფნარმავალ არაერთ შესაძლებლობას.

რაც უფრო მეტს ვმსახურებ, მით უფრო მეტად მეთანინებება მსახურება, ოღონდ მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ჩემი საქმე არ არის. პროუს სკოლაში ესოდენ დიდხანს ჩარჩენილმა ჩემზე ბევრად ჰქვიან ბიჭებზე დიდი უპირატესობა მოვიპოვე, სადაც ჩემი აზროვნება ანდა გულსყური არ ყოფილა ოდნავ მაინც შერხეული, ან გუნებაზე არ ვიყავი, ანდა სწავლაზე ვიყავი მწყარალად.

მე მხოლოდ იმის აღნიშვნა ძალმიძს, რომ გამონაკლისი ვიყავი, რაც უთუოდ ჩემს ნაკლოვანებას უკავშირდება. მე უფრო მეტი კმაყოფილებით კალატოზს დაუდგებოდი შეგირდად, ანდა ხელის ბიჭი ვიქნებოდი, მორბედი, ანდა სულაც მამაჩემს დავეხმარებოდი საბაყლო ვიტრინის დამშენებაში. ეს იქნებოდა ბევრად ნამდვილი, ბევრად ბუნებრივი, ეს ბევრად ბევრს შემასწავლიდა, ამას ბევრად უკეთესად ვიზამდი. ამას გარდა, ბევრად უფრო ახლოს გავიცნობდი მამაჩემს, რაც ბევრად უფრო გამაჩნებდა. არავითარ შემთხვევაში ფული არ მისცეთ ბიჭს, თქვენი შესაძლებლობისა და მიხედვით აჩუქეთ ცხენები.

მე უსაზღვროდ მიყვარდა მამაჩემი და ვამაყობდი კიდევ მამით, ხოლო მერე, უდროოდ რომ გარდაიცვალა... მხურვალე ხსოვნა ნამიერადაც არ გამწვანდება. სულ ზეპირად ვიცოდი იმის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა გრძელი ნაწყვეტები. ჩემი პოლიტიკური უპირატესობანი სწორედაც მამაჩემის გავლენით ჩამომიყალიბდა.

სიტყბუკეს ავანტიურა ეჭირებდა. პრესას აუთოტაუი, ხმაური სჭირდებოდა. მე ერთიც და მეორეც გამოვცადე. ცხოვრების თითქმის მთავარი გამოცანა ის არის, რაც ადამიანს მოქმედებას აიძულებს. შენი გონება ადამიანმა საბრძოლო მასალის საწყობად კი არ უნდა აქციო, არამედ შაშხანა უნდა გახადო, რათა სხვათა საბრძოლო მასალა გაანადგურო.

ახალგაზრდებმა, ჩემი აზრით, კითხვაში სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, ისევე, როგორც მიმცოვანებულნი ფრთხილად უნდა იყვნენ ქვამაში. ხნიერთ მეტისმეტად ბევრის ღმურძელა არ მართებთ. იმათ კარგად უნდა დაეღწონ საქმელი.

უსარგებლო რამ არის იმის თქმა, რომ ჩვენ ყველაფერს ვაღონისძიებთ, რის ქმნაც ძალგვიძს. მთავარია, აუცილებელის ქმნაში წარმატება.

გაბედულება ადამიანურ, კაცობრივ თვისებათა უპირველესი რამ არის, რამეთუ ყოველსავე დანარჩენს ის ხდის შესაძლებელს. შენ რა, ზნეობრივად და ფიზიკურად სიდიერე გსურს? მაშინ ცდუნებათა წინააღმდეგობა უნდა შეგეძლოს...

უდიდესი შეცდომა იმის ვარაუდი, რომ მომჭირნებობას, ანუ ყიარათს, მხოლოდ შიში წარმოშობს. ის წარმოიქმნება როგორც შიშისგან, ასევე იმედისგანაც. სადაც იმედი არ არის, იქ, ცხადია, არც მომჭირნეობა იქნება.

იმაზე უფრო უკეთესი ინვესტიცია არა არის რა, ვიდრე ჩვილთათვის დედის რძეა...

ე. ჰემინგუეი: სერ უინსტონ, ცოტა არ იყოს, გრძელი საუბარი კი გამოგვდის, მაგრამ არ შემიძლია დიქტატურის თაობაზეც არ დავილაპარაკოთ. მეოცე საუკუნეში ორივენი არაერთი დიქტატურისა და დიქტატორის მონმენი გავხდით. ერთ-ერთი დიქტატორის მხარდამხარ, შტატებთან ერთად როგორც მოკავშირე, მეორე დიქტატურისა და დიქტატორის წინააღმდეგ იბრძოდით, რას იტყოდით, ხსენებული დიქტატურისა და დიქტატორის თაობაზე? თქვენი აზრი ძვირფასია და ძვირფასად დარჩება მკითხველისთვის.

უ. ჩერჩილი: - დიქტატორები ვეფხვებზე ამხედრებული ხალხია. ბოროტი ადამიანები ყოველთვის გონიერი არ არიან, როგორც რომ დიქტატორნი არ არიან ყოველთვის მართალნი.

მე რწმენით მონარქისტი ვარ და პრინციპულად კონსტიტუციური მონარქის მომხრე ვარ, რამეთუ მონარქია დიქტატურის წინააღმდეგ.

ვეფხვებზე ამხედრებულ დიქტატორთ ჩამოქვეითება ამინებთ. ვეფხვი ამასობაში შიმშილს განიცდიან. პარტიული დიქტატურა ფრიად საშიში რამ არის, ვიდრე რაგინდარა სამხედრო დიქტატურა, რამეთუ ისეთ მმართველთა მონმენი ვხდებით, რომელნიც ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად ყველაფრისთვის მზად არიან.

მშვიდობისმყოფელი კი ის არის, ვინც ნიანგს იმ იმედით კვებავს, მე სულ ბოლოს შემეჭამსო.

დიქტატორი, მთელ თავის სიზვიადესთან ერთად, პარტიული მანქანის სისასტიკეს უჭირავს. დიქტატორს წინსვლა ძალუძს, ოღონდ უკან მობრუნება აღარ შეუძლია. მან თავის მაძებართ, მსხვერპლზე მისეულთ, სისხლის გემოს შეგრძნების ნება უნდა დართოს. სხვაგვარად, ძველ დროთა აქტიონის მსგავსად, ისინი სულ ქუფთა-ქუფთა აქცევენ იმას. გარედან ყოვლადძლიერი ის შიგნიშვიან უსუსტესია.

სუყოველი ტირანია, ანუ სიმძლავრე, რა სახესაც უნდა იღებდეს, ითხოვს, რომ თავისუფალმა ადამიანებმა თავიანთი სიცოცხლის განწირვის ფასად ცდა არ უნდა დააკლონ იმის დამხობას. სისხლის მდინარე დაიღვარა და იღვრება გერმანელ ერსა და ევროპის ყველა სხვა ხალხს შორის. ეს ბრძოლის ველზე დაღვრილი ცხელი სისხლი კი არ არის, როცა ორივე მხარე ერთმანეთს ებრძვის, ეს სიკვდილით დასჯის და ეშაფოტების ცივი სისხლია, წარუბოცველად რომ ალაქავებს თაობებსა და საუკუნეებს.

მშვიდობიანი საპარლამენტო ქვეყნები, პიროვნების თავისუფლებასა და ხალხის გაბარაქიანებას რომ ესწრაფვიან, უაღრესად ძნელ მდგომარეობაში ცვივიან, იწყებენ რა დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელი დიქტატურის ერთადერთი ალტერნატივა ომია.

სწორედ კრიტიკის შიში წარმოშობს ნაციონალურ და ბოლშევიკურ დიქტატურათა უდიდეს საშიშროებას. საკონცენტრაციო ბანაკები, რეზინის ხელკეტები და დამხრეტი ჯგუფები პირში ბურთსა სწრიან ყოველგვარ კრიტიკას. ამიტომ სულ ზემოთ მყოფ ადამიანებს ხშირად მხოლოდ ის ამბები კვებავენ, ყელს რომ უკოკლოზინავებთ ცხოვრებამოყირავებული და გაზულუქებული.

არცრა აყალ-მაყალს, ნაკლოვანებებსა და კორუფციას-კაციშვილი არ ამხელს, რადგან დამოუკიდებელი ხმა არავის არა აქვს.

დიქტატურაში ერთ-ერთი უხერხულობა ის არის, რომ დიქტატორს ხშირად სხვები უკარნახებენ და რასაც ის უკეთებს იმ სხვებს, ხშირად შეუძლიათ, რომ იმათ იმასვე უქნან საპასუხოდ.

მთავარია, მზე „რკინის ფარდის“ ორსავე მხარეს ანათებდეს და, როგორც იოსებ სტალინის სამშობლოელი ერთი ძველი პოეტი იტყოდეს, უკეთეს ოდესმე მზის შუქი ორსავე მხარეს, ვარდა და ნეხვს, სწორად მოეფინება, ის ფარდაც გაქრება... რომელ მსოფლიო ორგანიზაციასაც არ ძალუძს, რომ დიდ სახელმწიფოთა დიქტატურას არ ემყარებოდეს, იმ სახელმწიფოთა ვალია ქვეყნის მსახურება და არა იმისი მართვა.

ე. ჰემინგუეი: - მეორე მსოფლიო ომში ბრიტანეთი, შტატებთან ერთად, საბჭოთა კავშირთან ერთად იბრძოდა. ეს მაშინ, როცა თქვენთვის, როგორადაც შტატებისთვის, მიუღებელი იყო და არის სოციალისტური სისტემა და ნაციონალიზმი. მაგრამ, კაცთმოძულე ჰიტლერისგან განსხვავებით, დიდად აფასებთ დიქტატორ იოსებ სტალინს, რომელმაც რუსეთში სრულიად ახალი, კაცობრიობისთვის მანამდე უცნობი წეს-წყობილების წარმატებულად შენების მონმენი გავგხადა. დღეს რას იტყოდით იმის თაობაზე?

უ. ჩერჩილი: - რუსეთს ბედი ჰქონია (ცხადია, აქ მტერ და უმადურ რუსებს გამოვრიცხავ), რომ მთელი 30 წელიწადი ისეთი ბრძენი კაცი ედგა სათავეში, როგორიც იოსებ სტალინი იყო. მან ჩვენი ხელით, ანუ თავისი მტრების ხელით, მოკავშირეობით, გაანადგურა კაცობრიობის გაუგონარი მტერი. დაბნელებულ რუსეთში სოციალური მზე ამოიყვანა...

როდესაც დამარცხებულ ნაციონალურ მხრიდან უსიტყვო კაპიტულაციაზე დაეფიქრებენ ხოლმე, ჩემდა უნებურად მახსენდება ოდესღაც ნაკითხული თუ მოსმენილი ჰეგელის წინასწარმეტყველური აზრი იმის თაობაზე, რომ კაცობრიობას ერთხელაც კავასიური რასის წარმომადგენელი მოველინება ბოროტების ბრწყალებიდან ერთ-ერთ მხსნელად.

თუმცა, ამ იშვიათი ადამიანის მხედართმთავრულ ნიჭსა და უნარზე მარტო ჩვენ, საერთო მტრის წინააღმდეგ მოკავშირენი, არა ვართ მძალა აზრისანი, უკვე სტალინგრადის შემდეგ თავის გარდაუვალ დამარცხებაში ასე თუ ისე დარწმუნებული სინდისდაღამებული ჰიტლერი ვეღარ მალავდა თავისი დაბნელებული ტვინის რომელიღაც კუნჭულში შეყუყუული ფარული აზრის ფუთუთს: - უკეთეს მეცოდინებოდა, ამ მძიმე ომის ყამს რა დონის და ხარისხის კაცთან მექნებოდა საქმეო, რუსეთისკენ ცალი თვალითაც არ გავიხედავდი.

რაც შეეხება სოციალიზმს, ის დაცემის ფილოსოფიაა, მრწამსია უმცირებისა, ღვარძლიანობის სახარება.

სუყოველი სოციალური რეფორმა, რომელიც ეროვნული ვალუტის სიმტკიცეს არ ეფუძნება, თაღლითობა და ტყუილია.

ე. ჰემინგუეი: - შესაძლებელია თუ არა დემოკრატია სოციალიზმისა და, საერთოდ, ნებისმიერი წყობილების დროს?

უ. ჩერჩილი: - დიდ ერებს აღარ ხელმძღვანელობენ ყოვლის უფრო უნარიანი წარმომადგენელნი, ანდა ისინი, ვინც ყველაზე მეტად ერკვევა ამ ერების მიმდინარე საქმეებში, ანდა თუნდაც ემხრობა შინაგანად შეთანხმებულ დოქტრინას.

დემოკრატია მართვის ყოვლის უფრო უარესი ფორმაა, უკეთეს იმ ხერხებს არ გავითვალისწინებთ, რომელთა მომარჯვებითაც დღესაქამომდე მიმართავდა კაცობრიობა.

დემოკრატია იმ პარტიის დახურული კრება არ არის, რომელიც უხვ დაპირებათა წყალობით უფლებამოსილებას ეზიარება განსაზღვრული დროით, რათა ხალხს მერე ისე მოექცეს, როგორც თვითონ მოეპრინებოდა. ჩემი გაგებით, მუდმივი უხილავი შინაგანი კავშირი უნდა იყოს მთავრობასა და ხალხს შორის.

ხალხის სათავეში ხელისუფლების დგომა თვითონ ხალხისთვის და ხალხის გულისთვის კვლავინდებურად რჩება დემოკრატის უმალეს განსაზღვრებად. აქ ურიგო არ იქნება აბრაამ ლინკოლნის მიერ 1863 წლის 19 ნოემბერს გეტისბერგში (პენსილვანიის შტატი) ჯარისკაცთა სასაფლაოს გახსნისას წარმოთქმული ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი სიტყვები. ლინკოლნის ის სიტყვა სულ ორწუთიანი იყო, მაგრამ ისტორიაში სამუდამოდ დარჩა, როგორც ერთ-ერთი უცნობილესი სიტყვა.

დემოკრატია, ჩემო ბატონო, სულაც ის ლაჯალბული გარყვნილი ქალი არ არის, რომელსაც ქუჩაში ნებისმიერმა ავტომატიანმა შეიძლება ჩანგალი გამოსდოს.

მე თითქმის სუყოველი ქვეყნის ხალხისა 1 იოსებ სტალინმა ჯერ კიდევ 1947 წელს სტოკა დოლარს მტკიცე უარი. იმავე წელს დაუარა დოლარს შვეიცარია.

მჯერა, სწორედაც ხალხისა და არა იმ ბანდიტების ხროვინა, რომელთაც მთელს მსოფლიოში მიყრუებული სოფლებიდან რომ მოველინენ ქვეყანას და რომელთაც მიჩინობა, რიყი ძარბობის გზით ადვილი საქმეა კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ძველი პარლამენტები, მთავრობები და სახელმწიფოებია. ყოვლის უკეთესი საბუთი დემოკრატის წინააღმდეგ სამუალო ამომრჩეველთან ხუთწუთიანი საუბარია.

დემოკრატია ნებისმიერ მთავრობაზე მეტად შურისმგებელია.

ომების გარდა, კაცობრიობამ არცრა იცოდა იმ დროიდან, რაც ხელისუფლებაში დემოკრატია მოვიდა.

ვინც ხალხს რევოლუციისკენ უბიძგებს, ისინი გილიოტინისთვის მზად უნდა იყვნენ! დიდი საქმეებისგან შეძენილი გამოცდილებიდან დავსკვნი, რომ, სანამ პირში სული უდგას და სუნთქავს, ადამიანმა ფარხმალი არ უნდა დაყაროს.

ჩემი დევიზია - არასდროს არ უნდა დაწებდე გავსებულ მტერს. არასოდეს, არასოდეს, არასოდეს! არც დიდ, არც მცირე, არც უზომოდ ბნელ და არცთუ წვრილმან საქმეში! არცროდის არ დაწებდე, უკეთეს არ ეწინააღმდეგება ღირსებასა და საღ აზრს. არცროდის არ დაემორჩილოთ უხვ ძალას, არცროდის არ დაემონოთ თქვენი მეტოქის აშკარად უპირატეს ძლიერებას. არცრა არავისთვის შესათავაზებელი არა მაქვს რა, სისხლის, შრომის, ცრემლებისა და ოფლის თვინიერ.

გამარჯვება, გამარჯვება ყველაფრის ფასად, გამარჯვება სუყოველი შიშის წინააღმდეგ. გამარჯვება, რაც არ უნდა ხანგრძლივი და ძნელი იყოს იმისკენ მიმავალი გზა, რამეთუ თუ არა გამარჯვება, გადარჩენა შეუძლებელია და დამარცხებას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს - გამარჯვება!

გულის გატეხა დანაშაულია. ბოლოს და ბოლოს, უნდა ვისწავლოთ წარუმატებლობიდან მომავალი ძალის საშუალებათა შექენა.

ცხოვრება წინააღმდეგობებთან ერთად სრბოლა, ნუ დათმობთ გაბატონებულ სიმალეებს!

მხოლოდ სიკვდილის შემდეგ უკეთეს სამყაროშია სიცოცხლის რწმენა, რომელ სამყაროშიც შენი ახლობელი ძვირფასი ადამიანები ისევ შეგხვდებიან, მხოლოდ დროის გამოზომილ სულას ძალუძს ნუგეშის ცემა.

არცრა ცხოვრებაში ისე არ გვამხნევენს, როგორც ის ამბავი, რომ გესვრიან და ვერ გკლავენ.

მთავარია, იცხოვრო ხიფათიანად, ყოველივე ისევე ალიქვა, როგორც არის, ნურაფრის ნუ შეგეშინდება და ყველაფერი კარგად იქნება!

არ უნდა ვიგულმავინყოთ ბალის გაშენება, სადაც სიცოცხლით დაგტკებთ, როს სხვა რამ გასაშენებელი არცრა გვექნება.

დღეს მართლაც ბედნიერი ვარ, რომ ჩემ წინ ზის მთელი მსოფლიოსთვის საყვარელი მწერალი, რომლის შემოქმედებაც პირადად ჩემთვისაც ასევე ძვირფასია. თავი კი ხშირად „მოხუცი და ზღვის“ მეთევზე ბერიკაცი მგონია, რომელმაც ოკეანე დაამარცხა და ყოვლის უფრო დიდი ნადავლი მოითევზა.

ნიგნის დანერა, ვიცი, თავგადასავალია. ამავე დროს, დიდი კმაყოფილების მომგვრელი რამ არის. თავს აკვარიუმში მოჭყუმალავე ოქროს თევზად გრძნობ, ოღონდ ამ შემთხვევაში შენ თვითონ ქმნი შენს აკვარიუმს. როცა ერთხელაც გადავშენდებით (რაც ბოლოს და ბოლოს უცილობელია), როცა დაგვარგავთ ჩვენთვის ღვთისგან მონიჭებულ უპირატესობას, ჩვენი ზნეობაც გაქრება, მაგრამ დარჩება ჩვენი ნათქვამი, ჩვენი დანერვილი ნიგნი. ის თავდაპირველად თავშექცევა, მერე კი ხდება საყვარელი, ცოლი, თავჯალბი და ბოლოს ბერანია. მე ნიგნს ისე ვწერ, როგორც იყო ატეხული კანადის წყნარი ოკეანის რკინიგზა...

ადამიანი იგივე სულია!.. ხან ლომის ხახაშიც უნდა შევყოთ თავი, უკეთეს ეს ამბავი კიდევ ერთხელ გავგამარჯვებინებს ცხოვრებაში.

პუბლიკაცია მოამზადეს თიონა კვარაცხელიამ და გურამ გოგიაშვილმა
ატლანტა-თბილისი
1919 წლის დეკემბერი



და როგორც ვერცხლისფრთიანი პანანკინტელა თესლები საკუთარ ძირის ძირიდან მიველტვით ცის სილაყვარდეს.

* * *

მუდამ ახალი დღე და მუდამ ახალი ფერი, არც ერთ შეხებას არ აქვს შეჩვეულობის გემო, სულ პირველია კოცნა, ერთადერთია დღე, არ მომბეზრდება როსმე შენს მხარზე გაღვიძება, ისევე, როგორც შენაც ხილვა ჩემს თვალთა ფსკერზე აისისა და მწუხრის. ჩვენ ყველაფერი გვინდა – აქ, ახლაც და უშლ. ჩვენ ყველაფერი გვინდა, იყოს შენში და ჩემში. თვით ნამის წვეთსაც ვერვინ ვერც წაგვართმევს ან მოგვცემს ჩვენ ამ სასწაულ მინაზე, სიყვარული რომ ჰქვია.

* * *

დროის ნაპირებს ელენება სიტყვათა ქაფი და უერთდება მარადისობას ყველა ცალ-ცალკე.

მშრალი ქარები აგროვებენ ჩემს სიტყვებს სადღაც, რათა გააშრონ, დააყენონ ბალახის ჩაი და შემოდგომის საღამოებში გათბნენ და ყელი ხველებისგან გადაირჩინონ. ტკაცუნებს ცეცხლი ჩემს ბუხარში, გარეთ დაძრწინა ქარი და წვიმა, შინ შემეშვება იხვენებთან, ხოლო ბავშვი კი უტოვებელ პირით სვამს უსასრულო მოთხრობას და აღარ კითხულობს, თუ რა ხნისაა მოთხრობა იგი...

და რეფრენივით რად მეორდება, როგორც ნაქარგი ხელთათმანებზე, ან რითმები თუ ვარსკვლავნიშნები ჩემს ძველ ლექსებში.

დამეფინება მე სიჩუმე დალილ სახეზე, გადაიქცევა სიტყვა სინათლედ, ხოლო თვითონ კი დარჩება ჩრდილში.

* * *

მთა მთას მიკვრია, ვარსკვლავი – ვარსკვლავს, ორ ფრთას შუა კი მოჩანს უფსკრული. ორი ფრთა ელავს ერთ ცისკიდურზე, ორ ფრთათა შორის ცახცახებს დანა.

* * *


მარჯვნივ ნახვალ და – იპოვი სიკვდილს, მარცხნივ ნახვალ და – იპოვი სიკვდილს, პირდაპირ ნახვალ... – იპოვი სიკვდილს. შენი ხელების გზაჯვარედინზე ჩვენ დასახვევი გზა არ გვაქვს, კარგო. შენი ხელების გზაჯვარედინზე ფრთებშესხმული ვართ ორივე, კარგო!

* * *

შენი გაბმული წვიმებია ჩემს ზღვაზე – ამბობ, და მარტოდმარტო ლექსიკონებში ჩვენი ბავშვი ეხებოდა ერთიმეორეს. ჩვენთან კი ცხელა. მინასავით დახეთქილია ზაფხული... ფესვებს დასდგომია გახმობის უამი. და ცრემლის ღელეც დამშრალია პორიზონტამდე. ლამაზობით კი ლომების და მეფეთა მთვარის ცისკენ მზირალი თვალები ჰქმნიან თანავარსკვლავედს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი თვის ცნობილი პოროსკოპიდან.

ლატიურიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

დალილა ბაღიანიძე
ახალი ლექსები



კარგი ლექსები არ ძველდებიან და ყველა დროში გულზე გვხვდებიან და პოეტები, ო, არასოდეს არც ბერდებიან და არც კვდებიან. მარადიული სიცოცხლის ძალა თან სდევთ, მარადი სდევთ სიყვარული. გინდ ბედისწერამ არ დააცალოს, არიან მუდამ გამარჯვებული.

პოეტის სიტყვა ღვთის სიტყვას უდრის და არ იღვევა და არ მთავრდება, კურთხეული აქვთ გზა, არამრუდი, თვითონ უფალი უდგათ თავდებად.

თუმცა, პოეტი იყო ნამდვილი, ძალზე ძნელია, ძალიან ძნელი და არ მოგელის გზები ადვილი, პოეტის სახელს თუ გაუძელი.

ლექსი თავს თვითონ დაგამახსოვრებს... ლეგენდებს მის დამწერზე ჰყვებიან და პოეტები, ო, არასოდეს არც ბერდებიან და არც კვდებიან.

*

ყოველ შემოდგომაზე, როცა გადამგრენ ფრინველებს დავინახავ ცაზე, შიში მიპყრობს, რომ მათ ერთხელაც მობეზრდებით წინ და უკან ფრენა, გაფრინდებიან თბილ ქვეყნებში და ერთ გაზაფხულზეც უკან აღარ დაბრუნდებიან. და დაურჩებით ერთგული, მაგრამ უნიჭო ბელურების ამარა, რომლებიც ზარ-ზეიმით გვამცნობენ, რომ ახლა მათია ქვეყნიერება.

*

დაგლეჯილი ჯინსებით, მოქანავე ხილით ჩემი ახალგაზრდობა მიდის, მიდის, მიდის. გუშინ ვიყავ პატარა, დღეს ვარ უკვე დიდი, ჩემი ახალგაზრდობა, ო, რა სწრაფად მიდის. ზოგი შემხვდა ალალი, ზოგი შემხვდა ფლიდი, ჩემი ახალგაზრდობა შეხვედრებში მიდის. და ვიგონებ წასულებს სიყვარულით, რიდი, ჩემი ახალგაზრდობა მოგონებით მიდის. ვუძლებ მე ჯერჯერობით ჩემთა დღეთა ჭიდილს, ჩემი ახალგაზრდობა სულ ჭიდილში მიდის. არ ყოფილა ჩემი თურმე, ვისაც ჩემად ვთვლიდი, ჩემი ახალგაზრდობა მარტოობით მიდის. ერთხელ მეც კი ვმღეროდი, თავს რომ შევიყრიდით, ჩემი ახალგაზრდობა ახლა ცრემლით მიდის. და მოვარდნილ ლექსთა გამო ვერასდროს ვიცლიდი, ჩემი ახალგაზრდობა სულ ლექსით მიდის. არ იქნა და არ მეღირსა მე ცხოვრება მშვიდი, ჩემი ახალგაზრდობა ფორიაქში მიდის. დაგლეჯილი ჯინსებით, მძიმე ტვირთის ზიდვით ჩემი ახალგაზრდობა მიდის... საით მიდის?

*

წვიმს და წვიმა ჰგავს დალილ მოგზაურს, რომელმაც კარზე მომიკაკუნა. და ვუსმენ წვიმის ხმადაბალ ზაუმს და მესმის წვიმის ფეხის ბაკუნს.

და წვიმა ითხოვს ღამის გასათევს დილაძდე, როგორც ვინმე ყარბი, მაგრამ ამაყი, ვით მეფე წათე, და მეგობრული, როგორც ნაიბი.

მივეგებები, გავულებ კარებს, რადგან მარტო ვარ და მომეწყინა. რასაც მოთხოვს, წვიმას მე მოვუგვარებ, შევიფარებ და გავუყოფ ბინას.

ერთად ვიძინებთ და არა მიშავს, დილით წავა და გამოიდარებს და დამიტოვებს მადლობის ნიშნად ბალიშზე მძივებს, დარში სატარებს.

*

ნახვამდისო! – ეუბნებიან ბოლო სიტყვად ხეს, მოშრიალე ფოთლები, როცა ცვივიან. ნეტავ, თუ ცნობენ ერთი ხის ფოთლები ერთმანეთს, როცა ქარი შეახვედრებთ? ნეტავ, თუ სცნობენ ერთ ბუდეში გაზრდილი ჩიტები ერთმანეთს, როცა ბუდიდან აფრენილები ერთმანეთს ცაში შეხვდებიან? ნეტავ, თუ სცნობენ ერთ ბუნაგში გაზრდილი ცხოველები ერთმანეთს, როცა ამ ბუნაგიდან დიდი ხნის წასულნი ერთმანეთს ტყეში შეხვდებიან? შეხვდებიან, როგორც მოყვრები, რომელთაც მშობლების დატოვებული ქონება ვერ გაიყვეს? ნახვამდისო! – ამბობენ ფოთლები ცაში წასვლის წინ, როგორც ადამიანები, რომელთაც იმედი აქვთ, რომ ცაში შეხვდებიან ერთმანეთს.

ვია ბენინერტე (1954), ლატვიელი კინორეჟისორი, კულტუროლოგი, პოეტი, ჟურნალისტი. დაიბადა რიგაში, მსახიობთა ოჯახში. დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი (1979) და ლატვიის კულტურის აკადემიის მაგისტრატურა (1994). იყო რიგის კინოსტუდიის დამდგმელი რეჟისორი. ამაჟამად უურნალ „მაიას ვიესისის“ („ჩემი ოჯახი“) მთავარი რედაქტორის მოადგილეა. მისი ფილმი „ეს ყველაფერი ცელქი პაუ-ლინას გამოა“ დასახელდა იმ საუკეთესო 25 ფილმს შორის, რომლებიც ოდესმე გადაუღიათ ლატვიამში. არის რამდენიმე პოეტური და პუბლიცისტური ნიგნის ავტორი.

ვია ბენინერტე

ღმრთის ნაპირები

ელეგია მამის ხსოვნას

უბრალოდ მოხდა ყველაფერი. თითქოს, საკუთარ იდაყვს მივწვდი და მტკივნეულად ვიპბინე. უცებ, ყველაფრის ჯიბრზე, რაც კი ჩემთვის იყო ცნობილი ამ გზის შესახებ, რომ ის როსმე დასრულდებოდა, რომ მხოლოდ წამით იზრდებიან წრეები ტბაზე. როდესაც ამბობს ქვის ყვირილი სიმშვიდეს მისას, სულ რაღაც წამით, შიშნულად და ნაჩქარევად, ისინი თრთიან ტალღებით, რომ მერე ისევ გაქვავდნენ, გახდნენ ისეთები, როგორც იყვნენ. ეს ყველაფერი მე ვიცოდი, და მაინც, მაინც, ჩემთვის უცხო და უცნაური აღმოჩნდა ის, რომ ჭიპი ხელახლა მომაჭრეს და დრო უკუიქცა, თითქოს ცდილობდა იგი, ვინც აქ არ იყო უკვე, ვისთვისაც უკვე დრო საერთოდ არ არსებობდა, ზეაენია წვრილ ტოტივით და მოედრიკა ბედის ციმციმა ცისარტყელად, იქაურობას სიმშვიდის სახლად მიიჩნევენ. მაგრამ ვინ იცის ზუსტი პასუხი? ხმას არ იღებს, ვინც იცის, იგი, ხოლო ვინც ლაყბობს, მან არ იცის და, აი, ასე წინათგრძნობას და ხსოვნას შორის დავეხეტები მე იმ იმედით, რომ ერთბაშად ამეხილება თვალი და უცებ გავიღვიძებ, გავაღებ კარებს, ჩამოვგლეჯ ფარდებს, მიმოვფანტავ ოთახში მიმწუნებს და ერთი წამით დავინახავ, რაც იმალება ნივთების უკან, სანამ ჩრდილებს აგვიანდებათ, სანამ ჯერ კიდევ ის ნაბიჯი, უმსუბუქესი, არ გადადგმულა, არ მოჭრილა ის თოთო ჭიპი, და ცოცხალია, როგორც სიტყვა, უხმოდ შობილი, და მიმზიდველი, ვით სამყარო, მიუნვდომელი, რომელმაც ზღვისგან ცისკიდური განაცალკევა.

* * *

უსახელო და უჩრდილოა ჯერაც ნივთები, მინა ჯერ კიდევ გამჭვირვალეა და ძილ-ღვიძილის სიჩუმეში ხმის ამოღება გაძნელებია. ჯერ წინათგრძნობა ექო არის შორეულ ნათლის, ჯერ ხელოსანი დარაჯია ღამის და ამბობს: ხილვის მსურველმა, ნებისმიერმა, მაღიაროს და მომდიოს უკან!

ჯერ არაფერი დამთავრებულა, არც დაწყებულა ჯერ არაფერი...

* * *

ახლა რომ შუქი ჩავაქროთ მე არ ვიქნები მეტჯერ შენ არ იქნები მეტჯერ წვიმა ასკდება სახურავს აწყდება ფანჯრის მინებს ჩვენ უკვე ვხდებით წყვილი და წვიმის ციციქნა წვეთები რომ აისხლიტეს მინებმა

თავარ შარაბიძე

მარიკა კვალაიშვილი - კომპოზიტორი, რომლის სახელი საქართველოში ყველამ იცის. მისი სიმღერები ისმის როგორც საკონცერტო დარბაზებში, ასევე ხალხში - ლხინის დროს თუ უბრალო შეკრებისას. ის ხალხს უყვარს, მომღერლებს მისი სიმღერის შესრულება საპატიოდ მიაჩნიათ და კიდევ მრავალი საქებარი რამ შეიძლება გვეთქვას, ეს სტატია მარიკა კვალაიშვილის კომპოზიტორობას რომ ეხება...

მე, ამის შეფასებას თქვენ მოგანდობთ, თქვენი შეფასება კი მიკარნახებს, დროზე შევიჩრდეთ და თავი შევიკავო წერისგან თუ განვაგრძო და კვლავაც ვთქვა ჩემი სათქმელი.



ორი ღრ-სივრხის კვთაზე

კვლავაც უნდა თქვათ თუნდაც ერთი უბრალო მიზეზის გამო - სათქმელი ძილს გიფრთხობთ და განუხებთ. მერწმუნეთ, ასე არ ემართებათ იმათ, ვინც ხელოვნურად და წვალებით მუშაობს მხატვრულ სიტყვაზე - ამ დროს ან სიტყვა გაგირბის, ან შესაფერისი ფორმა არ იძებნება და წვალება (სიმძიმე) უფროა გამოკვეთილი, ვიდრე შემოქმედება.



ბუნების სამყაროს შვილია, ბალახია, რომელიც შევლას ითხოვს, რომ ამოხეტოს. მისი სანყისი მინის გულში ღრმად გადგმული ფესვია, რომელიც, მინის ზემოთ პირველად ამოსული, გოცებით შეწყურებს საკუთარ შვილს, მისგან ნაშობ, ცად აზიდულ, დატოვებულ ხეს და ეამაყება, რომ მის გარჯას ტყუილად არ ჩაუვლია. ვაჟასთანაც ტყუება ბუნება თავისი შვილებით, მაგრამ ეს არ არის მარიკას სათქმელი. მოთხრობაში აქცენტის თაობაზე კონსტრუქციულად ვაქცეობთ თქვენ. თქვენთვის უნდა ვთქვათ, თუ თვალის აარსებამ საკმაოდ მოხუც, ძარღვებდაც ქვეულ, ძალგამოცდილ დედას. ნაჩვენებია, რომ ბავშვობის შემდეგ შეიძლება დიკარგოს მჭიდრო კავშირი დედასა და შვილს შორის, შეიძლება ძალა გამოაცალიოს დედას, მის ხარჯზე გაძლიერდეს და აიყაროს ტანი, დედამ კი ყოველივე ამას ერთგულდებით გაუძლოს. ასეთია ბუნების ცხოვრება. მწერალი იმასაც შენიშნავს, რომ დედა ხშირად იხილება შვილით და თავისი მოვალეობა ცოტა ხნით ბავშვებს, მაგრამ დედური ინსტინქტი იმდენად ძლიერია, რომ დედა ფესვი მიძინებულ ფესვებს აღვიძებს პატარა, უცნობი სიცოცხლის დასახმარებლად. ფესვების ტორტმანის მიზეზი გაუგებარია მინის ზემოთ თავმოქონივად მდგარი შვილებისათვის. მათ მხოლოდ გაჭირვების დროს ახსენდებათ დედა (დაამიანისთა შორისაც ხომ ხშირად ასეა!).

მარიკა კვალაიშვილის ნაწარში საერთოდ არ იგრძნობა სიმძიმე. არ შემეშლება, თუ ვიტყვი, რომ მათში, პროზასა და რამდენიმე ლექსში, მუსიკაა, რიტმი. მაიაკოვსკი თურმე ქვევრთან ხმამალა კითხულობდა თავის ლექსებს, რომ უზუსტოდ ნოტი დაეჭრა; ხშირად მწერლები, და განსაკუთრებით პოეტები, საკუთარ ნაწარმოებთან ხმამალა კითხვით ასწორებენ გაპარულ შეცდომებს. ლექსიც ხომ მუსიკაა, მხატვრულ სიტყვაში ჩადებული! ასეთი მუსიკა მესმის მარიკა კვალაიშვილის მოთხრობებშიც და მივიჩნევ, რომ მწერლობაში ახლად ფესვდგმული არც ერთ რიტმულ შეცდომას არ უშვებს. თუმცა რა მივიჩნევ?! ეს ახლად ფესვდგმული, რომლის მხატვრულ შემოქმედებაზე პირველი მე ვწერ (თუ არ ჩავთვლით კრებულის რედაქტორის ნინასიტყვაობას), უკვე ცნობილი და ხალხის საყვარელი კომპოზიტორია. რომელი ერთი აბზაცი მოვიყვანო ნათქვამის დასადასტურებლად?! სრულიად პირობითად ავიღებ. თავის პირველ მოთხრობაში - ეგვიპტიდობები ხვალ დილით მოსაჭრელად გამზადებულ, ჩვენთან ერთად შეზრდილ ალვის ხეს! - ავტორი წერს: „გახსოვთ, ალბათ, ჩვენი სახლიდან სულ სიმღერის ხმა ისმოდა. როგორ არხვედით ფოთლებს, თითქოს სიმღერას ჰყვებოდით. შექვიფიანებული სტუმრები გვიანობამდე არ იძლებოდნენ და ძილს გიფრთხობდნენ, მაგრამ თქვენ და თქვენს ფოთლებში შეყუყულები ჩიტუნები სიმღერას მონუსხულები უსმენდით. თქვენ ჩრდილქვეშე ზომი ნარდის მოთამაშე და მოქვიფი კაცები თქვენს სადღერდელსაც ესამდნენ, თქვენც მოკრძალებული თავაზიანობით ტოტებს უხრიდით. რამდენი შეცდომილი და მშიერი, უსაბუნკარო ჩიტუნას თავშესაფარი იყავით“.

მარიკა კვალაიშვილის მოთხრობებში იგრძნობა ვაჟა-ფშაველას სიყვარული, მის მხატვრულ პროზასთან სიახლოვე, ხშირად ვაჟას მუსიკასაც იჭერს ავტორი და საკუთარი ინტერპრეტაციით თავის

მოთხრობებში ახმოვანებს, თუმცა მარიკა კვალაიშვილის სათქმელი სხვაა - ეს თანამედროვე ადამიანის სატიკვარია; მერე რა, რომ მარიკასაც ესმის ბუნებისა და მასთან ლაპარაკს ახერხებს, თითქოს მისი ენა იცისო, და ბუნებასაც ესმის მისი, ვაჟასდროინდელ კრიტიკოსს შეიძლება პანთეისტური ენოდეზინა მწერლისთვის და ეთქვა, ბუნებასთან მეგობრობს, ის არა მხოლოდ ცოცხალი, არამედ უკვდავი სულის მქონე ჰგონაო; თუმცა არც ამას გამოვიჩინებ, მარიკა კვალაიშვილის მგრძობიარე ბუნებისთვის უსულურ ბუნება არ არსებობს.

„სიცოცხლე ამაღ ღირს!“ - ასე ჰქვია ერთ-ერთ მოთხრობას - კრებულის სათაურიც სწორედ ეს არის. უკვე ნათელია, რომ სწორედ ამ ნაწარმოებშია მწერლის სულიერი მრწამსი ჩადებული. მოთხრობაში პატარა არსების დაბადება აღწერილი. ეს არსება როგორ აღწევდა ცას მიბჯენილ, გოლიათი დევებით აზიდულ პირქუშ სიმალეებს! მაგრამ ხომ აგებდნენ ღმერთის საფულოდ და კაცის იმედად ტარებდა თუ ციხე-კოშკებს, რომლებიც დღეს შევლას ითხოვენ, ვიდრე ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შეუძლიათ. მაგრამ მოთხრობის მთავარი იდეა იმდენად ტაო-კლარჯეთის გადარჩენასა და შევლაში კი არ მდგომარეობს, რამდენადაც წარსულის სიმღერით გამოვლიცხებაში. ამას მოთხრობის პერსონაჟები, ცნობილი ანსამბლის - „მოსახლის“ - ბიჭები ახორციელებენ: „ზანზარი გააქვს ტაძართა კედლებს, ქართველი ბიჭები სიმღერით უხმობენ წარსულს. რა შემართებით მღერიან, ბურთი აქვთ გაჩრილი ყელში, ცრემლებს სადავეს ვერ უჭერენ და ვაჟაკურ ცრემლს ვაჟაკური სიმღერა უკეტავს გზას.“ ძალიან თანამედროვეა მოთხრობა, რომელიც ძირითადად წარსულის გახსენებაა. უცნაურია მისი სათაურიც - „რა საოცარია, როცა გენატრება ის დრო, რომელშიც არ გიცხოვრია“. თუმცა მხატვრულ სიტყვაში უცნაურობა არ არსებობს, რაც ერთისთვის უცნაური და ულოგიკოა, მწერლისთვის ის წარმოსახვის შედეგია. ამ მოთხრობის წვდომაც წარმოსახვითაა შესაძლებელი. აქ ორი დრო-სივრცე კვეთს ერთმანეთს: აწმყო, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ მიემგზავრება მოთხრობელი, ანუ მარიკა კვალაიშვილი (გაიგებება ზუსტია, რადგან მოთხრობა ავტობიოგრაფიულიცაა) სოფელ კავთისხევში ნინაპართა ნაკვალევზე, და წარსული, რომლის ნარატივი მთლიანად წარმოსახვითი რელობაა - მარიკას წინაპრები, დიდი ბებია და ბაბუა, წვეულება მათ ოჯახში, ის სამაყო წრე, რომელიც მათ სტუმრობს, მარო თარხნიშვილის (მისი ბებო) ბავშვობა, შემდეგ ქორწილი, ბოლოს მათი ოჯახის აწიოკება და განადგურება. მონათხრობი უთუოდ საინტერესოა, მით უმეტეს, რომ პერსონაჟები რეალური პირები, გამოჩენილი ადამიანები არიან. როგორი დეტალურია მათი ხასიათის, ჩაცმულობის, სიმღერისა თუ ოთახის დეკორის, გაშლილი სუფრისა თუ დარბაზში გამართული ცეკვის აღწერა: „ორბივეთ დასტრიალებს მხრებ და მკლავებგაშლილი უმშვენეირესი ქართველი ვაჟაკი მის მკლავებში ნიბლიასავით მოქცეულ უნატიფეს ქალს, რომელიც თავის დადღწევასაც ვერ ახერხებს, იქნებ არც უნდა, განა ცოტაჯერ ჩაყრია დიდ სიყვარულს საფუძველი ასეთ შემთხვევაში“.

ამ პასაჟს მოსდევს ავტორის კომენტარი, მისიული გადახვევა: „რას ვინატრებდი ამ წუთებში? ახალგაზრდობას, სიყვარულს, სიმღერას, ცეკვას და, კარგი გაგებით, აღვირის აწყვეტას, იმ დიდ სიამოვნებას, რასაც ამ დარბაზობის თითოეული წვერი განიცდის“.

ყველაზე საინტერესოდ აწმყოდან წარსულში გადასვლის მომენტებია აღწერილი. ეს პროცესი განმარტობით იწყება, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი მარიკას მასპინძლები იქვე, მის გვერდით იმყოფებიან, თუმცა შორიახლოს დგებიან, რომ ხელი არ შეუშალონ; მარიკა კი „იძირება ბურუსით მოცულ ნისლში“. ეს ის ნისლია, მოდერნისტი მწერლების შემოქმედებაში რეალობიდან წარმოსახვაში გადასვლას რომ უწყობს ხელს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში. მარიკა კვალაიშვილის მოთხრობაში ის შინაგან სიჩუმეში იხადება, როგორც რობაქიძისთან „გარინდების“ უამს:

„ჩემს შინაგან სიჩუმეში ვხედავ, და მესმის, თურქულად მსგავსად ურემი, ელფოზე, ბაჭურ, ღოგანაშენი მომჯდნა მუწმის გვერდზე, ყელში მოუღერებია და მღერის ბავშვური გატაცებით, ულამაზესი ხმით: „ალ-ზევანს წავალ მაროლზე, მაროლს მოვიტან ბროლსარ“...“

ეს მარო თარხნიშვილია, მოთხრობის მთავარი პერსონაჟი მოთხრობელთან ერთად. ამ და კიდევ სხვა მრავალი ეპიზოდით მარიკა ხატავს, ნიჭის გარდა, თუ რა გარემოებებში ჩამოყალიბდა მარო თარხნიშვილი სიმღერის დედოფლად. მკითხველი ხვდება, რომ ხალხური შემოქმედება ერთ-ერთი ნყაროა, საფუძველია ინდივიდუალური შემოქმედებისათვის.

მარიკა კვალაიშვილი გამოარჩევს იუმორის დახვეწილი გრძობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოთხრობაში „ჩირები“. დილაადრიან სოფელს ქალის მოთქმა აღვიძებს. მეზობლები ჩათვლიან, რომ მას ერთადერთი, თბილისში მცხოვრები, ვაჟი დაეღუპა. ისინი მისასამიძრებლად ტირილით გადადიან ჭირისუფალთან. შვილის სახელის ხსენებაზე ქალს გული მისდის. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ის შვილისთვის გაკეთებულ ჩირებს ეძებდა და დასტორდა, რომელიც მულმა სხვაგან გადადო; მეზობლების თავშეყრის შემდეგ კი შვილის სიკვდილი დაიჯერა და იმიტომაც დაკარგა გონება. ოჯახში ჭირი ლხინით იცვლება. მარიკა კვალაიშვილი ისე დეტალურად აღწერს სოფლის სიტუაციას, რომ თავი თანამონაწილად წარმოგიდგება. იუმორი დაფუძნებულია ფაქტის (დაროს მოთქმის) და მისი მიზეზის (ტუხას ვითომდა სიკვდილის) შესაბამაობაზე, სიტუაციურ კომიზმზე.

მარიკა კვალაიშვილი ხშირად ეხება სიბერის თემასაც. მისი მსჯელობა არ არის ზოგადი და დამრიგებლური, რომ მოხუცს პატივი უნდა სცე და ასე შემდეგ... თავად ქალბატონი მარიკა კი დაბერებას არ აპირებს; მწერალი ისეთ სიბერეს გულისხმობს, რომელიც გაკარგვინებს თანამედროვეობასთან კავშირს. მისი ლექსის სახით გამოთქმული განაცხადი ნამდვილად რჩეული, შეიძლება ითქვას, ამბიციური ადამიანის (ყველას არა, მაგრამ მას აქვს ამის უფლება) განაცხადიცაა:

„არ დავბერდები, ისე როგორც ბერდება ბევრი, მე დავბერდები ისე, როგორც არ ბერდება“.

მე შეგნებულად არ ვეხები მარიკა კვალაიშვილის ყველაზე მტკივნეულ თემას, მტკივნეულს, მაგრამ მაინც გამოთქმულს, გამოთქმულს სიყვარულით, სინაზით, სიამაყითა და იმედით. მინდა ვუთხრა, რომ ჩვენც გვენატრება!

კრებულს კომპოზიციურად კრავს მწერლის ეზოში მდგარი ჭადარი... ეს ის ჭადარია, მოჭრა რომ დაუპირეს და გადარჩა. ეს ჭადარი მწერლის, ადამიანის, მასთან თანშეზრდილი ქალის მესაიდუმლეა. მარიკა მისგან იღებს გაუტყველობის მაგალითს, რაც ლოდინსა და იმედში გამოიხატება. თავად ჭადარი ეწურჩილება და, ნახეთ, როგორ არიგებს: „ჩვენი ცხოვრება ხომ სულ მოლოდინია ვიღაცის თუ რაღაცის. მოლოდინი და იმედი სიცოცხლის ბოლომდე მიგვაცილებს“. რა თქმა უნდა, არ გაგვიკვირდება, რომ ჭადარმა ზეპირად იცის მარიკოს სიმღერები, ერთი მათგანი კი ორივეს (თავისი და მარიკოს) მდგომარეობას აგონებს და იმედს უსახავს:

„ცოტა კიდევ მოითმინე, გულო, მალე ნუში აყვავდება კართან, არაფერი არ გიმეველის ახლა, ლოდინის და მოთმინების გარდა!“

მაია სერსეაძე

ჭორა-ჭურაბისა

ჭორს საბა ასე განმარტავს: დაუჯერებელია ჰამბავის დავარდნა საცილობელისა და არასწორისა, ვიეთი კიდეც გამართლებდა. ტყუილთა ნახეო - იქვე ამასაც მიგვითითებს. მამ, ჭორი ის დაყრილი ხმები ყოფილა, რომელიც შეიძლება ზოგჯერ გამართლდეს კიდეც, ასეთ შემთხვევაში მთელი მისი მშვენიერება ეფემერულია, ის მალევე ქრება და ხელთ უბრალო ახალი ამბავი, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ნიუსი შეგვრჩება. რაც უფრო დაუჯერებელი და მეტი ინტრიგის შემცველია ჭორი, მით უფრო დღევანდელი და სწრაფ-მაგალია ის.

მითოსურ, ფოლკლორულ, ისტორიულ მასალებთან ერთად ჭორი ხშირად ქცეულა ლიტერატურული ტექსტის ინსპირაციად, მისი ფაბულისა თუ სიუჟეტის წყაროდ. საკმარისია გავიხსენოთ ალექსანდრე პუშკინის ტრაგედია „მოცარტი და სალიერი“, რომელსაც პერსონაჟ კომპოზიტორთა მტრობისა თუ ქიშპობის ცრუ ისტორია დაედო საფუძვლად.

როგორც იონა მუნარგია გადმოგვცემს, დიდი მეჭორე ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„სალამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწევოდა ის, ამბები და ჭორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა“-ო. ამასვე ადასტურებს მისი ფასდაუდებელი პირადი წერილებიც. მამულს მოშორებული, მეგობართა, ნათესავთ მოკლებული, განჯელ თარაქამებში მოხვედრილი პოეტის სულიერი საზრდო ტფილისის ცხელ-ცხელი ჭორებით ყოფილა, რომელთა შეტყობინებას ასე ემუდარებოდა ნათესავებს. „შენ უნდა მომწერო წიგნი, რომ ტფილისი გატყუილია ამბებით“, - სთხოვდა თავის მამიდაშვილს ალექსანდრე საგინაშვილს, მის მეუღლეს ბაბა-ლეს კი საგანგებო დავალებას აძლევდა და თანაც ემუქრებოდა:

„მე მაგისტანა მოკლე წიგნებისა არა ვიცი რა: თუ მწერ, რაც იცი და არ იცი, სულ მომწერე. ხომ იცი აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს ჭორებს. თუმცა შენ ჭორი არ გიყვარს, მაგრამ ჩემი გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განჯებ და მასამოვნებ ამ უდაბურს ადგილს... შენმა მზემ, ბევრი რამ მაქვს მოსანერი, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ მოგწერ, მინამ საკუთრად წიგნი არ მომივა ჭორა-ჭურაბებით საესე“ შენგანო.

მუდმივად სამხედრო ლაშქრობებში მყოფ პოეტ ბიძას კი თავად ტატო ამარაგებდა ტფილისური ჭორებით, რაც მასაც ძლიერ ჰყვარებია.

„ახალი ამბავი, ანუ ჭორი, ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნინა ალექსანდროვიჩა ოდესაში მიდის 9-ს ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი“-ო, ცეცხლს უმატებდა ნინო ჭავჭავაძის ტრფობით ისედაც დამწვარ ბიძას შეხუმრებული დისშვილი. და კიდევ: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი - მართალი“-ო.

მწერალი აკაკი ბელიაშვილი, რომელიც ერთხანს კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებას ხელმძღვანელობდა, იგონებდა თურმე, როგორ შეიხედავდა რეჟისორი ივანე პერესტიანი ოთახში, სადაც ხშირად ჭორაობით ერთობოდნენ კინომუშაეები და, სანამ თვითონაც შეუერთდებოდა, რა სახეგაბრწყინებული და როგორი ნინას-ნარტკობით წამოიძახებდა ხოლმე: «Обижая сплетничать!»-ო.

მეზობლებისგან მსმენია ჩვენი სახლის ბინადარი ჩინებული მწერლის ალექსანდრე ქუთათელის ნათქვამი, ჭორი ერთ კარგ სადილს მირჩევნიაო.

მწერლებს მაინც უკეთ სცოდნიათ ჭორის ფასი თუ გემო.

მართომ რვა ხვედრად დედანი?

ხომ არის ისეთი წიგნებიც, რომელთა ნაკითხვის შემდეგ ოდნავ უკეთესი კი არა, უბრალოდ, სხვა ადამიანი ხდები?! ავღანეთის ამ ბოლოდროინდელმა ამბებმა სხეებით მეც ერთი ასეთი წიგნი გამახსენა.

საქართველოს ესოდენ ტრაგიკული უახლესი ისტორიის შემსწრეს რომელიმე ქვეყნის ბედი თუ

აო. თვითონ სადილზე უარს იტყვიან, თქვენს მოსვლამდე ყველამ ერთად ვისადილეო. სადილობისას მასპინძლის ვაჟები თვალს არ ამორებენ სტუმრის მაჯას, რომელზეც ძვირფასი საათი უკეთია. ამირი საათის აჩუქებს ბიჭებს, რომლებიც ერთი კი შეათვალდებენ საჩუქარს და მალევე ჭილობზე მიაგდებენ.

ნამოსვლისას ამირი შემთხვევით მოკრავს ყურს მასპინძელი ცოლ-ქმრის საუბარს.

„- აღარაფერი დარჩა ბავშვებისთვის.“

„- ჰო, მშვიდობიანი ვართ, მაგრამ სტუმარია. შენი აზრით, რა უნდა მექნა? - შკაცრი ხმით თქვა ვაჟიძმა.“

„- ხვალ რა ვაჭამო ბავშვებს, - ხმაში ცრემლი გაერია.“

დამშვიდობებისას ვაჟიძმა თა-

დენტებს, ჩვენი კურსის მაგალითზე ამას სხვა დროს მოვეყვები, უფრო იმით გასაგონად, ვინც საბჭოთა „სამოთხეს“ მისტიკის და ენატრება. ახლა კი სხვა რამ მინდა ვთქვა.

ამ შრომით სემესტერს „ყამირს“ ეძახდნენ. ის იყო ქართული თარგმანი საბჭოეთის ერთ-ერთი პარტიული ლიდერის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებათა წიგნის „Целина“-ს სათაურისა. მეშუარეობა ავტორი გასული საუკუნის 50-იან წლებში ყაზახეთის კომპარტიის პირველ მდივნად თავისი მუშაობისას იქაური ყამირი მინების ათვისებაზე მოგვითხრობდა.

„ყამირი“ საბჭოთა სტუდენტური ჟარგონის ნიშნა და მას, ვფიქრობ, ქართული ჟარგონის ლექსიკონშიც უნდა მიერჩინოს ადგილი. ლეონიდ ილიჩის „გენსეკო-

ნაცვლად, იმ ყველაფერში ლომის წილი ერეკლა“-ს ეძღვნება. „მამა ჩვენმა ბატონმა ირაკლიმ მათს იმპერატორობის დიდებულებას იმიტომ მიმართა, რომ ქრისტიანი, ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა და ამისთვის, რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად ალემალღებინა, არამცთუ დაედაბლებინა“, - აი მიზეზი ოხვრა-ნადვლისა ბატონნიშვილის ალექსანდრესი, რომელზეც ის ასე მოუხიდავებლად სწერდა პავლე ციციანოვს მოხმობილ წერილშიც და რამაც მას ზემდინეწითი თვითდახასიათების ეს სიტყვებიც ათქმევინა: „ცხოვრება ესე ჩემი არა არს ცხოვრებისად წოდებად, არამედ განგრძობული ტანჯვა მამულისა ჩემისათვის“-ო.

ქართველ ისტორიკოსთა ბოლოდროინდელი კვლევებმა, აქამდე უცნობ, უახლეს წყაროებს და მასალებს რომ დაეყრდნო, გაფანტა ყოველგვარი ეჭვი ერეკლე II-ის ისტორიული გადაწყვეტილების მართლზომიერებასა და მიზანშეწონილობაზე - აღიარა ის ევროპული ორიენტაციის მმართველად, რომელმაც ეს საბედისწერო ნაბიჯი მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა მხოლოდ მას შემდეგ გადადგა, რაც მრავალი ცდისა და ევროპის სახელმწიფოთა ლიდერებთან წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ უმჯობეს ამის გზა ხსნისა ველარ იპოვა. მოხსნა ყოველგვარი „ბრალო“ ქართველთ მეფედ და გმირად აღზრდილ პატარა კახს და მისთა ძეთაც ჰმართებთ, მეტი მუხლმოდრეკით შეუთვალონ მშვიდობა მის წმინდა აჩრდილს.

ილუსტრაცია გაქსიგასათვის

მიხეილ ჯავახიშვილი თავის ფიქვენსა თუ ნონფიქვენში ქართველი თავადაზნაურობის დაქინება-გადაგვარებასა და გაქრობაზეც გოდებდა, მის თვალწინ რომ ხდებოდა. უბის წიგნაკში მწერალს ჩაუნერია: „თავადაზნაურობა მოკვდა, იქნება სულის არისტოკრატია მინც გადარჩეს“-ო, „ჯაყოს ხიზნებში“ კი ეს საეალალო პროცესი დიდი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული. ნიმუშად ერთ პასაჟს მოვიხმობ რომანიდან:

„სანამ მოვუვებთ თემურაზი იმ მალაზიებში ნაცნობთა სამკაულს და ნივთებსაც ნაანყებობდა. მან იცნო კნენინა ახატუნელის განთქმული სპილოს ძვლის მარაო - დიდი მთავრის ნაჩუქარი, ოქროს ძაფით მოქარგული და ფრანგულად წარწერილი: n' oubliez jamais, იცნო აგრეთვე კნენინა არაგველის უუძველესი ქართული ქათიბი, - კვერნით შემოვლებული, მუქიშინდის ფერი ხავერდი, თეთრის აბრეშუმით მოქარგული და მსხვილი მარგალიტებით დანიწკვლილი; იცნო თავადი გიგო სურამელის საგვარეულო რახტიც. კნენინა ელენეს ჯილაც, კნენინა ქეთევანის მანიაკიც და თავად ელიზბარის ქულაჯაც.“

მწერალმა კი არ უნდა თქვას, რომ წვიმა მოდის, მან წვიმა უნდა შექმნასო, - მართლად უთქვამს პოლ ვალერის.

იგინება საქართველო

იგინება ყველა: ინტელიგენტი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იგინება ყველაგან: ქუჩაში და შინ, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ტაქსიში, მატარებელში, დილით და ღამით, სიციხეში და სიცივეში, დარში და ავდარში...

ნახევრებ-ნახევრები ფიქრები

ამაღლევებდა და გამაოგნებდა, ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ, როცა ავღანური წარმოშობის ამერიკელი მწერლის ხალიდ ჰოსეინის რომანი „ფრანთ მორბენალი“ წავიკითხე, დიდხანს გონს ვერ მოვედი - ავღანეთის სულსმეძვერელი ისტორია, მინასთან გასწორებული ქვეყანა და ხალხი, ჯერ საბჭოთა ინტერვენციისა და მერე თალიბანის დანაშაულობებისა და სისასტიკის ამბები გულგრილს ვერავის დატოვებს.

რომანი მეტად წარმატებული აღმოჩნდა და მასზე უამრავი რეცენზია დაიწერა, გაიხსნა კლუბები, გადაიდეს ფილმი, სკოლებში ის სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად გამოცხადდა.

ავტორი ეხება რელიგიურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ საკითხებს. გვაცნობს ავღანელთა ცხოვრების წესს, ტრადიციებს, ჩვეულებებს.

რომანის ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. მისი მთავარი გმირი, ამერიკაში ემიგრირებული ქაბული პემტუნი ამირი ოცდაბუთი წლის შემდეგ ბრუნდება განადგურებულ სამშობლოში, რათა მოძებნოს და იშვილოს თავისი ნახევარძმის, ჰასანის ბიჭი სოჰრაბი. სოჰრაბის მშობლები ეთნიკური წმენდისას დაიღუპნენ, ის კი, მრავალ თანატოლთა მსგავსად, ბავშვთა სახლიდან ერთმა თალიბმა წაიყვანა და დაისაკუთრა.

ძმისშვილის ძებნაში მას ეხმარება და დაწვდრეული მანქანით დაატარებს ადგილობრივი ფარიდი, ამირისადმი აგრესიულად განწყობილი ამერიკაში მისი გადასვენისა და, მისი აზრით, იქ უდარდელი ცხოვრების გამო. ფიქრობს, რომ სამშობლოში ის მხოლოდ დარჩენილი სახლ-კარის თუ მიწის გასაყიდადაა ჩამოსული და სულ არ ადარდებს თანამემამულეთა ბედს. გზად ლამის გათევა მოუწევთ ფარიდის ძმის, ვაჟიდის უღატაკეს ოჯახში. ვაჟიდი კიცხავს ძმას სტუმრისადმი უნდობლობის გამო, რომლის მიმართაც თავად ის, როცა ამირის ჩამოსვლის მიზეზს გაიგებს, უაღრესად კეთილად გახეწყობა.

„- ფარიდი! - დაიღრიალა ვაჟიძმა. ბავშვებს შეეშინდათ. ფარიდიც კი შეკრთა, - დაგვიწყდა, სად ხარ? ეს ჩემი სახლია! ამირა-ლა ჩემი სტუმარია და შერცხვენას არ ვაპატიებ, იცოდე!“

სტუმარს ჩაის, ორ ჯამ ბოსტნეულის შორგასა და ორიოდ ლავაშს მიართმევენ, თან ბოდიშს მოუხდინან, ხორცი თუ ვერ გიმასპინძლებდით, ხორციანი კერძი დღეს ჩვენში მხოლოდ თალიბებისთვისა-

ვის პატარა სახლზე მიუთითა სტუმარს და უთხრა: ამ სახლის კარი მუდამ ღია იქნება შენთვისო.

მეორე დილით, ნასვლის წინ, ამირმა უჩუმრად მატრასის ქვეშ ფული ამოდოო, - გვეუბნება ავტორი.

ლეონიდ ილიჩი და ქართული ენა

ვისაც სტუდენტობამ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოუწია, ემახსოვრება, რომ არსებობდა მესამე, ეგრეთ წოდებული შრომითი სემესტრი. ის გულისხმობდა ზაფხულში სტუდენტთა დროებით დასაქმებას სანარმობო, ვთქვათ, რომელსამე ფაბრიკასა თუ ქარხანაში.

მამინ ამ მიზნით მე და ჩემი კურსელები გურიაში, სოფელ ლიხაურის ჩაის ფაბრიკაში გაგვამწესეს ერთი თვით.

ლიხაური, ძველი სახელწოდებით „რეხული“, შემდგომ ლეხაური და მოგვიანებით ლეხორი, ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიური სოფელია. იქ ადამიანს ახალი ქვის ხანიდან უცხოვრია. ფეოდალურ ხანაში ლიხაური გურიის საერისთავოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ყოფილა ერისთავის საზაფხულო სასახლე და კარის ეკლესია, ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე.

„...სოფელი ლეხორი საუკეთესო ადგილად ითვლებოდა გურიაში თავის მდებარეობით, ჰავით, ძველი, კარგად დაცული ციხით, ეკლესიებით და მათში შენახული სიძველენით ... ლეხორს ჩქარი აჭისწყალი ჩამოედის. წყალს სათავე უდევს ადგილ აჭიაში. ჩემ დროს აჭისწყალი კალმახით იყო განთქმული. იგი ერთვის მდინარე ბუჟუს, ოზურგეთის მახლობლად...“ - მოგვითხრობს საქართველოს მეჭურჭლეთუხუცევი.

ლიხაურის თვალწარმტაცმა და უმშვენიერესმა ბუნებამ მართლაც გაგვაოცა. მისით ტკობის სამუალებზე ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოგვეცა, რადგან შიგ სოფელში კი არა, მის განაპირას, ფაქტობრივად, საავტომობილო ტრასის პირზე აღმართულ ერთ უსახურ ირსართულიან შენობაში მოგვიჩინეს საცხოვრებელი, ისეთი სამინდელი, რომ ერთმა ჩვენმა ჯგუფელმა ცნობილი ლიტერატურული გმირის მიბაძვით, ხუმრობით მოსწრებულად უწოდა „მონაზონ ბერტოლდ შვარცის სახელობის საერთო საცხოვრებელი“.

ჩაის ფაბრიკაც, სადაც გვამუშავებდნენ, იქვე იყო, მთლად ტრასის მიმდებარედ. რა პირობებში ამყოფებდნენ შრომით სემესტრში სტუ-

ბისას? ქართულმა ენამ სახელწოდების სტატუსი კი დაკარგა კინაღამ და დიდი მღელვარება გამოიწვია ჩვენში, მაგრამ ნურც ამ დამსახურებას დაუჯერებდა საბჭოთა ლიდერს - ამ ჟარგონით მან ჩვენი ლექსიკური ფონდი ერთი ერთეულით გაამდიდრა.

ეს ჩვენი მეფე ერეკლე

ლევან ასათიანს ნარკვევში „ვოლტერიაანობა საქართველოში“ მოჰყავს ციტატა ვოლტერის 1772 წლის წერილიდან, რომლის ადრესატია რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II:

„მე ძლიერ ვწუხვარ, რომ ალიბეი, თავადი ირაკლი და თავადი ალექსანდრე არ იცნობენ ჩვენებურ ბულვარებზე სეირნობებს, ჩვენს საოცარ კომიკურ ოპერებს, ჩვენს შესანიშნავს ვაკსალებს და არ იცნავენ მენუეტის რიგინად ცეკვა!“-ო.

წერილში მოხსენიებული თავადი ირაკლი არის ქართლ-კახეთის მაშინდელი მეფე ერეკლე II. ავტორი დასძენს:

„რასაკვირველია, ეს სიტყვები იყო მხოლოდ სალონური ხუმრობა. განა სცალოდა ამ დროს ერეკლეს მენუეტის საცეკვაო? ვოლტერს საერთოდ ძალიან ცოტა წარმოადგენა ჰქონდა საქართველოზე, რადგან ჩვენი ქვეყანა იმ დროს უკვე დიდი ხნის ჩამოცილებული იყო მსოფლიო ისტორიულ შარაგზას“-ო.

დიდი ფრანგი მწერალი მართლაც ვერ წარმოიდგენდა იმდროინდელი საქართველოს ურთულეს პოლიტიკურ ვითარებასა და იმ დიდ თავგანწირვასა და ძალისხმევას, რომლითაც ქვეყნის ხელმწიფე მართავდა თავის უბედურ ქვეყანას.

ძნელად ვნახავთ ჩვენში მეორე მეფეს, რომელსაც ასეთი დიდი სიყვარული დაემსახურებინოს თავისი ხალხისგან. ამას თუნდაც მიძღვნიოთ ფოლკლორული ნიმუშების სიმრავლე ცხადყოფს. ვერც სხვა ისეთ მეფეს ვიპოვებ, ვის ხელმწიფურ აზრსა და ანდერძამაგვაც კეთილთა დღეთათვის ქართლის ამხელა სამეცნიერო, ისტორიულ-ლიტერატურული თუ სხვა სახის დისკურსი, დებატი და პოლემიკა მოჰყოლოდეს. ვგულისხმობ, ცხადია, მის ისტორიულ პასუხისმგებლობას რუსეთისა და მისი „ბრძენი და ქველი“ ხელმწიფისათვის ბედი ქართლისას მიხედობაში. მეფის რადიკალ ოპონენტთა აზრით, მას მერე, საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის, რაც კი საქართველოსა ჭირნი მოადგენ, კეთილდღეობის მოცემისა და ისტორიულ მტრებზე ჯავრის ამოყრის



რეზოზი ზინაზიზი

როდის ყოფილა, რომ ბედისწერა ყველას მოყვასის თვალთ უმზერდა, მაგრამ სად ვეძებოთ სათავე იმ საივისა, უჩვეულო ხედვრი კაცს რომ ადრევე დაატყდა თავს. ბავშვობა ხომ ყველასთვის ის ხანაა, როცა ყმანვილკაცური სიხალისე და გულბრწყინობა სამშინველს აესებს, ირგვლივ იმედის ნათელი სუფევს და ცისა და მიწის კეთილი ძალები შენს მხარეს გეგულდება. ეს ის ხანაა, როცა ხალასი გული ნეტარებით ეძლევა მღვდლარე ოცნებებს, წარმტაც ზმანებებს; როცა სამყარო დიდ ოჯახად, საკუთარი თავი კი მის ცენტრად წარმოგადგება. შენი რაობა ნელ-ნელა ყალიბდება, თავს შეიცნობ, გონი და სხეული თანდათანობით აბჯარს ისხამს, გულის სისავსესთან შეჯერებული იდუმალი სასოება საგმირო საქმეებისაკენ გენევა და შეუმჩნეველად გეძახება ყოველივესთან შერწყმის ხარბი სურვილი – ნაპერწკალივით მღვივი ეს მღვარი გრძნობა, გაშმაგებულ რომ მოინეგს სულის სიღრმეში. გასურს, უცხო არსებაში აღმოაჩინო და სანეტარო ხატებად ჩაიკრა გულში მთელი სამყარო, რადგან მთელი შენი კაცური არსი მღვდლის მიერ აღძრულ წარმტაც ოცნებებში დანაშაობს: ძველ სამანებში ველარ ეტევი, ყველა სიამე ერთ ფილად გინდა შეირგო, საპირისპირო სულთან შერწყმას ესწრაფვი და ილიძებს სრულიად ახალი განცდა – ტრფობის სიხარული, სატრფოს გულში ჩაკერის უსაზღვრო წამის მოლოდინი. ახლა შენ გარშემო ყველაფერი კიდევ უფრო მშვენიერია, სული აღმა ფრენს და გული ჩქროლით ილტვის სანეტარო ფანტომებისკენ.


სულისა და სხეულის სრულქმნის ეს საფეხურები კარლ როსმანისთვის უცხო აღმოჩნდა. გრძნობის მორევი ვინ არ ჩაძირულა, მაგრამ სიყმანვილის ზღურბლზე გადადგმული პირველივე დამოუკიდებელი ნაბიჯი ჯერ კიდევ გამოუცდელი, უნდელი ყმანვილისთვის საბედისწერო გამოდგა. შინამოსამსახურე ქალთან ფარული ტრფობის სიამამე მას მხოლოდ მტანჯველი მოგონებები დაუტოვა. ნეტარების წუთები, ვითომც გულის საღებუნად მოვლენილმა ქალმა წყურვილის მოსაკლავად რომ აგება, ყმანვილ კაცს შხამად შეერგო; სიტკბო სიმწარედ უქცია და მკერდში დანთებული ცეცხლის ალი ადრევე გაუნელა. რა დღემოკლე აღმოჩნდა მისთვის სიყმანვილი, როცა სათავე ეძლევა ყოველივეს, როცა ყოველივე სინშინდისა და მშვენიერების არილით არის გარემოცული, ის კი შინაგან ძალთა მოზღვავებამ მხოლოდ გამოტირებული ოცნებების აპარა დატოვა.

თავსმოხვეული ტრფობის სამსალას დანაფებული ყმანვილისათვის ეს არ ყოფილა სანეტარო და თავდადებული მიჯნურობა. ეს იყო ფრანც კაფკას თხზულებებისათვის ნიშანდობლივი უხილავი ძალის ზემოქმედება; ის ამოუცნობი ფათერაკი, სიამეთა მორევი თავდაკარგული ყმანვილი ანაზღვეულად რომ გასწირა, მა-

მობის ტვირთის წინაშე დაყენა და მშობლების ძალისხმევით უცხო მხარეში გადახვეწა.

ბედისწერასთან შეურიგებლობის ამსახველი რომანი „ამერიკა“ ორიოდ ნლის წინათ გამოქვეყნდა ქართულ ენაზე და, როგორც დახვეწილი ქართული ენით შესრულებულმა ნაშრომმა, უმაღლ მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ჩვენ

ფრანც კაფკას ახალი სიხარული მწარის მოთხრობების სრული კრებულის თარგმანის გამო



არაერთხელ გამოვხმაურებოვართ მისი მთარგმნელის, რუსუდან ღვინეფაძის შემოქმედებას და ყოველთვის გამოვყოფდით მის მაღალ პასუხისმგებლობას, იხელმძღვანელოს საზრისისეული კრიტიკიუმის პრინციპით, რაც გულისხმობს ორიგინალის სიღრმისა და მასშტაბების ადეკვატურ აღქმას, თითოეული ფრაზის, იდიომისა და სტილური ნიშნის არქტიკებში ჩანვდომას. „ამერიკა“ კაფკას საყვარელი ნაწარმოები იყო, გმირისადმიც განსაკუთრებული სიმპათიით იყო გამსჭვალული, თუმცა ისიც, სხვა პროტაგონისტების მსგავსად, იმ კაცის ცხოვრებით აცხოვრა, სამყაროს კეთილ ძალებთან შერწყმის მცდელობა მარცხით რომ დაასრულეს. მხოლოდ მისი სასიცოცხლო ენერჯისა და თვითგამორკვევისაკენ მიმსწრაფვი სულის მეოხებით გამოარჩია ის ავტორმა სხვათაგან, რათა ცხადი გაეხადა ადამიანის ბუნებრივი, თანდაყოლილი სწრაფვა, არ შეგუებოდა არსებობის შეუთავსებელ ფორმებსა და გამოვლინებებს, კაცთა უკეთურობის სანაცვლოდ რომ მიეგო მის ეპოქას. ეს არც არის შემთხვევითი, რადგან როსმანის პიროვნება ავტორის სულის ნაწილი, მისი განცდების გამოძახილია: ევროპაში ასიმილირებული ებრაელის არამყარი სოციალური გარემო ჩეხურ-გერმანული გარემოცვაში (პრალა იმხანად პაბსბურგების ავსტრია-უნგრეთის მონარქიაში შემავალი ბოჰემიის დედაქალაქი იყო), გახმაურებული კონფლიქტი მამასთან, შემოქმედი კაცის ხასიათის შეუთავსებლობა მუშათა სანარმოო ტრავმების დამზღვევი იურისტის საქმიანობასთან, უკუწინებული სწეულება, ბერბიჭას ხედვრი, პრალიდან გაქცევის დაუოკებელი, მაგრამ გაუბედავი კაცობათვის განუხორციელებელი ოცნება, ასე ძალეულად რომ იგრძნობა მის თხზულებებში, როსმანის თავგადასავალშიც აისახა. მთარგმნელი სისხლსავსე ქართულით გადმოგვცემს სულიერ ატმოსფეროს რომანისა, რომელშიც ფრანც

კაფკამ ადამიანის ინტიმური სამყაროს ფარულ ხედვლებში ღრმა წვდომის ნიჭი ჩააქსოვა. სწორედ ამ გმირს მისცა უფრო მეტი გასაქანი, სამოქმედო სივრცედ ამერიკა დაუსახა, რათა უცხო ცის ქვეშ მანაც დაედლია საბედისწერო, ავბედითი შესაბამობა, ახალი ცხოვრებისათვის გაღვივებული პიროვნების კეთილ მისწრაფებებსა და უხებ რეალობას შორის

კაფკას ადამიანის ინტიმური სამყაროს ფარულ ხედვლებში ღრმა წვდომის ნიჭი ჩააქსოვა. სწორედ ამ გმირს მისცა უფრო მეტი გასაქანი, სამოქმედო სივრცედ ამერიკა დაუსახა, რათა უცხო ცის ქვეშ მანაც დაედლია საბედისწერო, ავბედითი შესაბამობა, ახალი ცხოვრებისათვის გაღვივებული პიროვნების კეთილ მისწრაფებებსა და უხებ რეალობას შორის

გადაულახავ დაბრკოლებად რომ აღიძარათ.

ამჯერად რუსუდან ღვინეფაძე კიდევ ერთ შემოქმედებით ნობათს გვთავაზობს. ეს არის სულაკაურის გამომცემლობის მიერ სამზოვზე გამოცხადებული კაფკას მოთხრობების სრული კრებულის თარგმანი. მთარგმნელის საქმიანობა მის მიერ ქართულად ამეტყველებული ტექსტის ხარისხით განისაზღვრება, თუმცა ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ რუსუდან ღვინეფაძის კოლოსალური შრომის უნარს. ამის დასტურია მის მიერ ამ უკანასკნელ წლებში თარგმნილი ოთხი განსხვავებული ავტორის რომანები, რომელთა გვერდების საერთო რაოდენობა 1660-ს აღწევს; ასევე, ნიქსეს ლექსების თარგმანი (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2017 წლის 17. 11); თუ გავითვალისწინებთ კაფკას მოთხრობების კიდევ 514 გვერდს, სრული ნაშრომდგენა შეგვექმნება ამ საქმისათვის თავდადებული გერმანისტი, ლიტერატურათმცოდნისა და მთარგმნელის საქმიანობის მრავალმხრივობასა და ნაყოფიერებაზე.

თარგმნილი ტექსტის შეფასებისას ყოველთვის მნიშვნელოვანია ორიგინალის აღქმის ხარისხი, რაც დედინსული ხარხებისა და სიტუაციების მარტო რეცეპტულ ჭკვირებად არ უნდა მივიჩნიოთ. თარგმნის პროცესში შეგრძნებათა მოქმედება სინთეზურად უკავშირდება გონის შინაგან ქმედებას, რაც ბუნებრივად განაპირობებს მთარგმნელის სუბიექტურ აქტივობას. არც ორიგინალის აზრობრივ-სინტაქსური კონსტრუქციები შეიძლება წარმოვიდგინოთ ურღვევი სახის ყალიბებად, რომლებშიც აზრია რდენების როლს ასრულებენ, აზრის გარკვეული მიმართულებით გაშლას რომ უწყობენ ხელს. ის, რაც მყარია ავტორის ცნობიერებაში, შეიძლება მერყეობდეს მთარგმნელის ნარმოსახევაში. ავტორისეუ-

ლი ხატები ხშირად იმდენად უცხო და სუბურულია, რომ მათი გამოკვეთა და ზუსტი ენობრივი რეპროდუქცირება ადვილი არ არის. ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი მთარგმნელის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ფრანც კაფკას შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო რთულია. მის მიერ წარმოდგენილი ფანტასტიკურ-გროტესკული ხილვე-

ნი, ცხადისა და სიზმარულის უცარი მონაცვლეობა, აბსურდული დიალოგების აზრობრივი სირთულე, თვითრეფლექსიაზე აგებული სოფეტების სიმბოლური ხასიათი, ალტერნატიული და ალგორითული აზრების სიმრავლე, პერსონაჟის სულის შინაგან მოძრაობათა განსხვავებულ სურათებად რომ წარმოგვიდგებიან, კაფკას სახისმეტყველების ორიგინალურობას განაპირობებენ.

ის, რაც რუსუდან ღვინეფაძის თარგმანში მაღალი ხარისხის ესთეტიკურ ზემოქმედებას იწვევს, არის მისი ინტონაციური მომხიბვლელობა. ცალკეულ ნაწარმოებთა სიღრმისეული გაცნობა გვარწმუნებს, რა ზუსტად აქვს მას ათვისებული ფრანც კაფკას თხრობის მანერა, მისი მეტყველების ეპიკური სიღრმე. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როდესაც ავტორისეული მხატვრული სინამდვილის ხატი ადეკვატურად გარდაიქმნება მთარგმნელის ცნობიერების ექტად. მთარგმნელი დამაჯერებლად უთავსებს საკუთარ ხედვასა და ტემპერამენტს ავტორისეულ მეტყველებას, რამდენადაც კაფკა საოცარი სიმშვიდით უსწორებს თვალს თავის მხატვრულ სინამდვილეს, მის უღმობელ განაჩენს და ტექსტს აგებს წყნარი, უდრტივიელი, შეკავებული ტონალობით („მომღერალი იოზეფინე ანუ სათაგვეთი“, „ბუნავი“). დრამატული სიუჟეტის შემთხვევაში (სოფლის ექიმი“, „დამსჯელ კოლონიაში“) თხრობა იძაბება, ტემპი მატულობს, გარკვეულნილად ვითარდება რიტმული მეტყველება, რომლის დროსაც უფრო თვალნათლივ იკვეთება ტექსტის აზრობრივი ნიუანსები, განცდათა გრადაცია, გრძნობათა ელფერი, მთლიანობაში კი, ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება. მთარგმნელი ზუსტად მიჰყვება ავტორის ჩანაფიქრსა და განწყობილებას, ყურადღების გარეშე არ ტოვებს დეტალებსა და ნიუანსებს, რომ არ დაარღვიოს ტექსტის მხატვრული ქსოვილის სინთეზური მთლიანობა.

ნაწარმოების საზრისის წვდომის ერთ-ერთ საუკეთესო შემთხვევას წარმოადგენს ფრანც კაფკას მცირე პროზის ნიმუში „იმედი ნუ გექნება“. კაფკა ამ სახის ნაწარმოებს იგავს ან პარაბოლას უწოდებდა. იგავი ალგორიას მიმართავს. პარაბოლა კი სიმბოლო-ალგორიის თავისებურ შერწყმას გულისხმობს. ორიგინალში ნაწარმოების სათაურად გამოყენებულია ბრძანებითი კილო ზმნისა aufgeben (აქ: რაიმეზე ხელის ალება, თავის განება, შეწყვეტა, უარის თქმა). ეს ის შემთხვევაა, როდესაც უნდა მოხდეს „სიტუაციის იდენტიფიკაცია“, უნდა გაიხსნას აზრობრივი კოდი და მთარგმნელიც, ითვალისწინებს რა მოთხრობის იდეას კაფკას მთლიანი შემოქმედების ფონზე, ირჩევს სათაურს, რომელიც იმედის გაცრუების მოტივით უკავშირდება ამბავს პერსონაჟისა, წლების მანძილზე რომ მიისწრაფოდა, შეეღწა კანონის სამყაროში და, როცა იმედი გადაეწურა, მის მინაგულს სმენას ძლივსა ჩასწვდა მეკარის სიტყვები: „შენ გარდა აქ ვერაინ შემოაღწევდა, რადგან ეს შესასვლელი მხოლოდ შენთვის იყო განკუთვნილი. ახლა კი ნავალ და ჩავეტავ მას“ („კანონის წინაშე“). სამყაროში ღრისეული ადგილის დამკვიდრების განუხორციელებლობის ეს დრამატული განცდა დაედო კრამეტ საფუძვლად ფრანც კაფკას რომანს „კოშკი“.

„იმედი ნუ გექნება!“ იმ ადრინა დილას ქუჩები სუფთა და უკაცრიელი იყო; სადგურზე მივდიოდი. როცა კომპურა საათი ჩემსას შევადარე, გავინახე, რომ გაცილებით გვიანი იყო, ვიდრე მეცნო. ძალიან უნდა მეჩქარა; ამ აღმოჩენამ ისე შემაშინა, რომ რიხი ნამერთვა. ქალაქს ჯერ კარგად არ ვიცნოდი. საბედნიეროდ, იქვე, ახლოს, პოლიციელი იდგა. მასთან მივირბინე და სულმოუთქმელად ვთხოვე, სადგურისკენ მიმავალი გზა მივსწავლებინა. მან გაიღიმა და მკითხა:

– ჩემგან გინდა, გაიგო, საით ნახვიდე?

– დაიბ, – მივეუფე, – რადგან გზას თავად ვერ ვიგნებ.

– იმედი ნუ გექნება, იმედი ნუ გექნება, – მხრები ღონიერად შეარხია და მიტრიალდა, იმ ადამიანების მსგავსად, რომელთაც სურთ, მარტონი დარჩენ თავიანთ სიცილითან.“

წინადადების ნებისმიერი გრამატიკული ფორმა სტილისტურ ღირებულებას კონტრასტში მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით იძენს. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა მოთხრობა „ნაუცბათევი გასიერება“. ეს ოცდახუთსტრიქონიანი ტექსტი შეგვიძლია განვიხილოთ ერთ მთლიან ზერთულ, ნაერთი სახის წინადადებად. ჩვენ წინაშეა გრძელი პერიოდის ტექსტი, რაც სპეციფიკური მხატვრული აზროვნების გამოვლენას წარმოადგენს და გერმანული ენის სინტაქსში ფართო გამოყენებას პოვებს. მსჯელობის შინაარსის შესაბამისად ტექსტში დომინირებენ დროის გარემოების დამოკიდებული წინადადებები კავშირით როცა. გრამატიკული

ერთგვაროვნებით განპირობებული მონოტონური დაბალი ლექსის სინტაქსური ერთეული უფროსი ხარისხის განილებით, რასაც წყაროებს კავშირის როცა ბგერითი ეფექტი – მისი სისხარტე და ნუნსიმირი თანხმოვნები – მთრთოლარე რა ხმულიც, რომელიც ერთგვარ სასიგნალო ფუნქციასაც ითავსებს. კავშირის როცა აკისრია მთლიანი მონაკვეთის მაორგანიზებელი ფუნქცია; იქნება გარკვეული რიტმული მდინარეა, რაც გამოწვეულია მონაკვეთის ფინალისადმი ინტერესის გაძლიერებით. მსჯელობით განპირობებული მეტყველების ეს ერთგვარი ფარული რიტმი, რომლის აუცილებლობასაც ავტორი შინაგანი ინტუიციით გრძნობს, გამოკვეთს კიდევ ტექსტის ბუნებრივ ქართულ წყობას:

„სალამოს, როცა თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტე, რომ სახლში დარჩე, ხალათი მოიცვი, ნავახშმევს, განათებულ მაგიდას მიუჯექი, ისეთ საქმეს მოჰკიდე ხელი ან ისეთი თამაში ნამოინყე, რომლის დამთავრების შემდეგაც, ჩვეულებრივ, დასაძინებლად წევი ხოლმე, როცა გარეთ ისეთი უფმური ამინდია, რომ სახლში ჯდომა ყველაფერს გიჯობს, როცა მაგიდასთან იმდენ ხანს შემორჩი, რომ შენი გასვლა ახლა ყველას გააკვირვებს, როცა კიბის უჯრედის ჩაბნელებულია და შემოსასვლელიც ჩაკეტილია, და როცა მიუხედავად ყოველივე ამისა, უცერად უკმაყოფილო გამომეტყველებით ნამოდგები, ხალათს გაიძრობ, ქუჩაში გასასვლელად წამში გამოწყობილი გამოაცხადებ, რომ უნდა ნახვიდე და ნაჩქარევი დამშვიდობების შემდეგ მართლაც ასე იქცევი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოუთმენლად გარჩენილთა კარს, სახლში დარჩენილთა მეტ-ნაკლებ გალიზიანებას იწვევს.“

ინტუიცია ვახსენეთ და ყურადღებას გავამახვილებთ მოთხრობაზე „მომღერალი იოზეფინე ანუ სათაგვეთი“ მასში მრავალგზის გამოყენებული სმბაძქვითი სიტყვის pfeifen (სტვენა) გამო. ეს ზმნა ავტორს გამოყენებული აქვს თავისი სმბაძქვის გადმოსაცემად. მთარგმნელი იყენებს ენობრივი ინტერპრეტაციის მხრივ ორ განსხვავებულ ზმნას – წრუნწი და წრიბნი. წრუნწი თავის ბუნებრივი ხმის ადეკვატური, საგანთან ცალსახა მიმართების ფორმაა და მნიშვნელობის მხრივ მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგანაც წრუნწი შეუძლია მხოლოდ თავის ან მის რომელიმე თარღნელ ნაირსახეობას. მისგან განსხვავებით, წრიბნი უფრო ფართო მნიშვნელობისაა, აერთიანებს განსხვავებულ ფორმებს (თავი, კალამი, ანჯამა) და საგანთან დაცილების მხრივ აბსტრაქციის უფრო მაღალ საფეხურზე დგას. მთარგმნელი კონტრასტის შესაბამისად ბუნებრივად იყენებს ორივე ზმნის „კოლორატურას“, რითაც ტექსტს იცავს მონოტონურობისაგან და ზმნებს ერთგვარი ფსიქოლოგიური განცდის სიგნალებად ახმინებს.

ახალი გამოქვეყნება
სამაჩაბლოს შესახებ

გიორგი სოსიაშვილის „სამაჩაბლოს ისტორია. შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა)“.



დღეისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ცხინვალის რეგიონში, ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილია. კრემლის მიერ მართული ადგილობრივი საოკუპაციო რეჟიმი ყველაფერს აკეთებს, რათა ამ მიწა-წყლიდან ქართული ისტორიულ-კულტურული კვალი მთლიანად აღმოფხვრას. გრძელდება ქართული ტოპონიმების ოსურად ტრანსფორმირების პროცესი. უპატრონობის, დაუდევარი მოპყრობისა თუ ბუნებრივი ზემოქმედების გამო საფრთხეშია აქაური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც.

ასეთ ვითარებაში, მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ გამოახანა გარკვეული სახსრები, რომლებიც მიმართულია საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების დასაფინანსებლად – თანხებს საგრანტო კონკურსების საფუძველზე განკარგავს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

2021 წელს გამოიცა მსგავს კონკურსში გამარჯვებული პროექტის საფუძველზე შექმნილი სტელტანიანი მონოგრაფია „სამაჩაბლოს ისტორია. შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა)“. მისი ავტორია თვალსაჩინო მკვლევარი, ისტორიკოსი და მწერალი გიორგი სოსიაშვილი. იგი ამ კუთხის შვილია და დიდი ხანია იკვლევს რეგიონის პრობლემებს.

ნიგინი მრავალხანაია – აერთიანებს დიდი ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, პოლიტიკური თუ ეთნიკური ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან საკითხებს.

ლიახვი ისტორიული შიდა ქართლის ცენტრალური ხეობაა და უმთავრესად მის მთიან ზოლს მოიცავს. აქ ქართველთა ცხოვრების კვალი ენეოლით-ბრინჯაოს პერიოდებიდან ჩანს და დღემდე უწყვეტად გრძელდება. ვახუშტი ბატონიშვილის დაკვირვებით, „რომელნი ევლნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი და სპეტაკი“. ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად, ლიახვის ხეობა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობითაც გამოირჩეოდა.

შუა საუკუნეებში შიდა ქართლში რამდენიმე სათავადო-სენიორია არსებობდა (ტბელთა ფეოდალური სახლი, ქსნის საერისთავო, ფავლენიშვილების, ამილახვრების, ხერხეულიძეების სათავადოები და სხვ.). მათ შორის უფრო ცნობილი იყო სამაჩაბლო. XV საუკუნის I ნახევარში ჩამოყალიბებულ მანაჩაბელთა, ამ „თავჩინებულ თავადთა“ სამფლობელოს შემადგენლობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში შედიოდა დიდი

ლიახვის ხეობა. სამაჩაბლოს ნაწილს შეადგენდა, ასევე, ისტორიული დეალები. მანაჩაბლებს მრავალი „მკვიდრი“, „ნასყიდი“, „ნაწყალობევი“ გლეხი, რამდენიმე ვაჭარი და აზნაურიც ყმობდა (1818 წლის აღწერის მიხედვით, მათ საკუთრებაში 60 სოფელი მოითვლებოდა).

გიორგი სოსიაშვილის ნიგინის ქრონოლოგიური ჩარჩო ვრცელდება – იგი უძველესი დროიდან იწყება და საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წელს უკანონო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით მთავრდება. ნაშრომში შესწავლილია სამაჩაბლოს მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური სურათი ასწლეულების განმავლობაში; გამოკვლეულია სათავადოს ჩამოყალიბება და დადგენილია მისი გეოგრაფიული არეალი; აღწერილია დიდი ლიახვის ხეობის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გზა XIII საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით.

ნიგინის რამდენიმე პარაგრაფი ხეობის იმ სოფელთა შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების საკუთრება იყო. გარკვეულია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამული ჰქონდა სოფელ ნიქოზში; მაცხოვრის წმინდა საფლავს ყმები და ნაკვეთები ეკუთვნოდა სოფელ ხვითის მიმდებარე ტერიტორიაზე; სინას წმინდა ეკატერინეს მონასტერი მამულს ფლობდა სოფელ მელვრეკისში; პეტრიწონის მონასტრის სამფლობელო იყო მამული სოფელ ერგენტში და სხვა.

საგულისხმოა მონოგრაფიის ის პარაგრაფი, რომელიც სამაჩაბლოში ქართულ-ოსური ურთიერთობების წარმოჩენას ეძღვნება. აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების ჩამოსახლება დიდი ლიახვის ხეობაში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ოსთა ახალშენები უმეტესწილად მთიან ზოლში გაჩნდა. XVIII საუკუნის შუახანებისათვის ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მკვიდრი მოსახლეობა ქართველები იყვნენ. მათთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები და ებრაელები. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები იმ დროისათვის მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელის სოფლებში, – ქართველებისგან დაცარიელებულ ადგილებში ცხოვრობდნენ და ისიც არა კომპაქტურად, არამედ ფრაგმენტულად. შიდა ქართლში ოსების რიცხვი საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ გაიზარდა (XIX საუკუნის განმავლობაში ოსურმა მოსახლეობამ 31,5 ათასიდან 85 ათასს მიაღწია). ქართველებისა და ოსთა თანაცხოვრება ძირითადად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, თუმცა აღინიშნებოდა დავა და შეტაკებებიც. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩამოსახლებული ოსების დაპირისპირებას ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან არ ჰქონია ეთნიკური საფუძველი და იგი უმეტესწილად სოციალური შინაარსისა იყო.

ნიგინი დაფუძნებულია მრავალრიცხოვან პირველწარმოებზე, რომლებიც ავტორმა წლების განმავლობაში საქართველოს სიძველეთსაცავებში მოიძია. მათ შორის უხვადია წარმოდგენილი საარქივო და სხვა სახის მასალა, რომელიც აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და სამეცნიერო მიმოქცევაში გიორგი სოსიაშვილს შემოაქვს.

აღნიშვნის ღირსია ნიგინი დანართის სახით შეტანილი დიდი ლიახვის ხეობის სიძველეები, ლაპიდარული წარწერები და ფოტოსურათები, რომლებიც ნაშრომს უფრო შინაარსიანს და საინტერესოს ხდის; ნიგინს, ასევე, ერთვის პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური საძიებლები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი სოსიაშვილის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) მონოგრაფიის სახით ქართულ ისტორიოგრაფიას კიდევ ერთი საფუძვლიანი გამოკვლევა შეემატა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, გამართლებულად მიმჩნია: ნიგინი „სამაჩაბლოს ისტორია. შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა)“ წარდგენილ იქნას ეროვნულ პრემიაზე.

ოთარ ჯანელიძე

ბელა შალვაშვილი

ოკუპირებას წინააღმდეგობა
- ჩემს ნაყვარს
ყვრისნიერ პოეტს

შენ გიყვარს ჩემი ქვეყანა,
მე კიდევ – მიყვარს შენი,
შენ მარტო შენსას კი არა, –
ჩემს სამშობლოსაც შევნი;
სიყვარულით რომ არსებობ,
მეგობრობის ხელს გვინვდი...
სიყვარული რომ ამარცხებს
მტრობას, ორივემ ვიცით.
სიყვარულს რა სჯობს, ერთურთით
სიამაყეს და ტკიბობას, –

ნიადაგ თან დაგყვებოდეს
ეს ყოველად დიდი გრძნობა!
ორივეს ერთმანეთს გვყავს,
ვაი, უბედურს, ამ მტერს,
ვინ რა სიბოკა მტრობდა,
ვერა ფიქრობენ ამდენს;
სოფიის ტაძარს ვიხსენებ,
დნებრს თუ პეჩორის ლავრას
და მენატრება უამიოამ
მე შენს კიევში გავლა.
დე, იზრდებოდეს ამ ჩვენი
ქვეყნების დიდი ძმობა,
სრულად განქარდეს ყოველგან
ურთიერთშორის მტრობა!

ანგელა მერკელს გაპარიაში
ქანდაკება დაუღვას

წლეულს, როცა ანგელა მერკელი კანცლერად ყოფნის 16-წლიან ეპოქას ასრულებს, მის მიმართ გერმანელი ხალხის მადლიერებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობთ, თუ ამ ქვეყანაში მოხვდებით. გერმანიის ავტორიტეტი როგორც ევროპაში, ასევე მთელ მსოფლიოში ბევრნილად გაზარდა ამ გონიერმა ქალმა. მისი პუშანური და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკით განსაკუთრებით მადლიერია ახალგაზრდა თაობა, რომელიც თავის შესაძლებლობებს მაქსიმალურად ავლენს საკუთარ ქვეყანაში და უკეთესი ცხოვრების მოლოდინი აქვს. ეს რწმენა და ატმოსფერო დაამკვიდრა თავისი პოლიტიკით, რაც მას სამართლიანად უქმნის თანამედროვეობის უბადლო სახელმწიფო მოღვაწის რეპუტაციას.

მხატვარი ვილჰელმ კოხი, რომელიც ბავარიის პატარა ქალაქის ეტსდორფის მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორია, არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა და არც ფინანსური დახმარებისთვის მიუმართავს ოდესმე რომელიმე პარტიისთვის. თუმცა, აპოლიტიკურობას სულაც არ შეუშლია ხელი მერკელის სკულპტურის შექმნაში. ამ პიროვნების საქვეყნო მნიშვნელობა და მოღვაწეობა გაცილებით ძვირფასი აღმოჩნდა ხელოვანისთვის და სწორედ ამან გადაწყვეტინა თავისი მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესხმა.

ქანდაკება სიმაღლით 2 მეტრი და 70 სანტიმეტრია და ტონა-ნახევარს იწონის. მან ცხენზე დასვა ალიარებული პოლიტიკოსი, შიშველ ცხენზე, რომელსაც არც უნაგირი ადგას და არც ალვირით მართავს მხედარი.


მოქანდაკემ სკულპტურას პედესტალი არ გაუკეთა და პირდაპირ მწვანე მოლზე დადგა, რადგან ფიქრობს, რომ პოლი-



ტიკოსი, რომელმაც ასე გააადამიანურა პოლიტიკა და ასე ახლოს მივიდა ხალხის გულთან, მიუწვდომელი არ უნდა იყოს და მაღლიდან არ უნდა დასცქეროდეს მის სახილველად მოსულ ადამიანებს. ვილჰელმ კოხი არ ფიქრობს, რომ ეს ქანდაკება სამუდამოდ ტემპელმუზეუმის (ასე ჰქვია ეტსდორფის მუზეუმს) ეზოში დატოვოს. გეგმაში აქვს, რომ ექვს თვეში გაყიდოს იგი, მიღებული თანხა კი მუზეუმის საჭიროებებს მოახმაროს. ყველა მოელის, რომ მერკელის ქანდაკებაზე მოთხოვნა იქნება და მას ის მსურველი დაეუფლება, ვინც უფრო მეტ საფასურს გადაიხდის.

მართალია, მერკელი მალე აღარ იქნება გერმანიის კანცლერი, მაგრამ მისი სახელით კვლავაც ასრულდება კეთილი საქმეები და მიზნები. ეს ის იდეალური შემთხვევაა, როცა პოლიტიკოსი მოღვაწის სახელით შედის ისტორიაში! ამიტომაც არის ანგელა მერკელი თანამედროვე მსოფლიოსთვის ესოდენ ღირებული მოღვაწე და პოლიტიკოსი.

გიორგი კახელიშვილი



„ოლე“ №4

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2021 წლის IV ნომერი, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით გა-

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება ფიქრია ყუშიტაშვილის პიესა „ქობი ტყის პირას“; ლანა მანველის რომანი „სად არის ბედნიერება“ (დასაწყისი), კახაბერ პავლიაშვილის, მაია კაკაურიძის, ივეტა პავლიაშვილის, მარიამ ძამუკაშვილის, თინათინ თვალაველის პროზაული ნაწარმოებები; ფარნა რაინას, ელგუჯა ციგროშვილის, მარიამ კოზმანიშვილის, ელდარ ჭიჭიაშვილის ლექსები. „საბავშვო საკითხავის“ რუბრიკით ქვეყნდება ნუნუ ძამუკაშვილის ლექსები.

„თარგმანების“ რუბრიკაში გაეცნობით დინო ბუტატიის მოთხრობას „სასიყვარულო

წერილი“ (თარგმანა მაია ტურაბელიძემ) და XIX-XX საუკუნეების რუსული ლირიკა (თარგმანა ციცილი მარკოზაშვილმა).

„კრიტიკა“ ბეჭდავს როინ ჭიკაძის წერილს „ხალხური სასაუბრო ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და ინტონაციური ოპუსები თამრის ფხაკაძის მოთხრობებში“.

რუბრიკაში „წერილები“ წაიკითხავთ: მაყვალა მიქელაძის „ოთარ ჭილაძის ლიტერატურული პორტრეტისათვის“ და ზაალ ბოტკოველის „სამშობლოს გამოჩენული ცრემლი“.

ჟურნალში დაბეჭდილია მხატვარ ვანო გოცორიძის ფერადი და შავ-თეთრი ნახატები.

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბად მატრაველი
ფინანსური მენეჯერი ქაქიკაძე დამატრაველი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბალა გვალაშინი, მზია პარაკაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური შოლდუაშვილი ვანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqrtvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი,
თევდორე მღვდლის 57

გაგონის
პარასკეობით
ISSN 1987-9806
9 771987 980005